პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 261 (13645) | ოთხშაბათი, 16 ნოემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

დიად თარიღს ღირსეული შეხვედრა

შრომითი ნობათები

◆ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ხობელმა მშრომელებმა, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ ხობის რაიკომის მეორე მდივანმა ნ. პარტოზიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ბერაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. კილასონიამ, — პირობა შეასრულეს. სახელმწიფოსათვის მანდარინის მიყიდვის წლიური გეგმა განაღდებულია 118 პროცენტით, თესლოვანი ხილისა — 124 პროცენტით, კურკოვანი ხილისა — 118 პროცენტით, ხორცისა — 103,1 პროცენტით, რძისა — 101,4 პროცენტით, კვერცხისა — 104,2 პროცენტით, უხეში ჩაისა — 130,1 პროცენტით.

◆ ასპინძის რაიონმა 10 ნოემბრისათვის სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შეასრულა 101 პროცენტით, რძისა 101 პროცენტით, კვერცხისა — 121 პროცენტით, მარცვლეულისა — 146 პროცენტით, კარტოფილისა — 100 პროცენტით, ბოსტნეულისა — 100 პროცენტით, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ ასპინძის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. ისაკაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. ცინაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ნ. მელიქიძემ.

□ უაზბეგის რაიონში წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.518 სულის ნაცვლად მყავთ 2.022 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ცხვარი — 112.006 სული ნაცვლად 104.710 სულისა. სახელმწიფოსათვის რძისა და მატყლის მიყიდვის წლიური გეგმა განაღდებულია 100 პროცენტით, ხორცისა — 118,1 პროცენტით, — ამის შესახებ აცნობა რედაქციას საქართველოს კპ უაზბეგის რაიკომის მეორე მდივანმა ფაჯიშვილმა.

ბულგარეთის კომპარტიის IX ყრილობას

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოში სახალხო ლაშქრობის ინიციატორები ჭიათურელი მაღაროელები თავდადებულად შრომობენ. ამ დღეებში მოსკოვიდან სახიხარულო ცნობა მოვიდა. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე კვარტალის მაჩვენებლებით ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა პირველი ადგილი მოიპოვა. მან შეინარჩუნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამ ჯილდოს საპასუხოდ ორჯონიკიძელებმა იკისრეს წლიური გეგმა პირველი დეკემბრისათვის შეასრულონ. მაღაროელები უტევენ ახალ ზღუდეებს.

• • •

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მაღაროთა სამმართველოს დირექტორი ვ. სამხარაძე, პარტკომის მდივანი პ. კაპანაძე, მაღაროს უფროსი დ. გამეზარდაშვილი და საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე ბ. გაფრინდაშვილი ინილავენ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას.

ფოტო ა. ჭილაძისა.

გამარჯვებული კოლექტივები

საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. მაღალაშვილმა რედაქციას აცნობა: წინასაოქტომბრო დღეებში ხაშურის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივმა მოსკოვიდან მიიღო საბჭოთა კავშირის გზათა მინისტრის ამხ. ბ. ბეშჩევისა და რკინიგზელთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ე. ჩერედნიჩენკოს დეპეშა. დეპეშაში აღნიშნულია: ხაშურის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივს (უფროსი ა. აგლაძე, პარტბიუროს მდივანი ა. მახათაძე, ადგილკომის თავმჯდომარე შ. რინეკუსი) მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მიეკუთვნა მეორე ფულადი პრემია. დეპოელებმა მესამე კვარტალში ლოკომოტივების საერთო გარბენის გეგმა შეასრულეს 110 პროცენტით, ტვირთბიდვის დავალება — 102 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გადადიდეს 10,4 პროცენტით, თვითღირებულება შემაცირეს 2,9 პროცენტით, სახელმწიფოს მისცეს 7.100 მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ხაშურში მეორე სასიხარულო დეპეშაც მიიღეს. საბჭოთა კავშირის გზათა მინისტრი ამხ. ბ. ბეშჩევი და რკინიგზელთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ე. ჩერედნიჩენკო ხაშურის რკინიგზის სადგურს ულოცავენ მესამე კვარტალის მიხედვით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებას და მესამე ფულადი პრემიის მინიჭებას. რკინიგზის სადგურმა (უფროსი ი. ჭანჭია, პარტბიუროს მდივანი გ. მახათაძე) ვაგონების დატვირთვის გეგმა შეასრულა 185,8 პროცენტით, ვაგონების მოცდენა შემცირებულია 10,5 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გადაზიდულია 142.409 ტონა ტვირთი.

მოსკოვში ჩამოვიდა ფინეთის მთავრობის დელეგაცია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოწვევით 15 ნოემბერს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი რაფაელ პაასიო მეთაურობს.

ლენინგრადის ვოგზალში მეგობარი ქვეყნის სტუმრებს შეხვდნენ ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. კ. ბაიბაკოვი და ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა თავმჯდომარეები და სხვა ოფიციალური პირნი.

ფინეთის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ვოგზალში ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულდა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები.

მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული ფინეთის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი რ. პაასიო მეთაურობს, 15 ნოემბერს ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

საუბრის დროს, რომელიც გულღია, მეგობრული ხასიათისა იყო, ილაპარაკეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე. (საკდესი).

ნ. ვ. პოდგორნი ვენაში

ვენა, 14 ნოემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ბ. ლუკიანოვი და ლ. ტუმანოვი იტყობინებიან:

დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, ავსტრიის ფედერალური პრეზიდენტი ფ. იონსანი და მათი თანმხლები პირნი ეწვივნენ მუზეუმს ჰოფბურგის სასახლეში. ნ. ვ. პოდგორნიმ და ფ. იონსმა ხელი მოაწერეს მუზეუმის საპატიო სტუმართა წიგნში.

იმავე დღეს ნ. ვ. პოდგორნიმ პატივი სცა სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპულ ავსტრიელ მებრძოლთა ხსოვნას. ოსტერეს ბურგტორის მოედანზე აკლდამის ახლოს ჩამწკრივდა საპატიო ყარაული და შესრულდა საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის სახელმწიფო ჰიმნები. ნ. ვ. პოდგორნიმ გვირგვინით შეამკო აკლდამა.

შემდეგ საბჭოთა სტუმრები წავიდნენ შვარცენ-ბერგპლაცის მოედანზე. აქ მაიან პოსტამენტზი დგას საბჭოთა მეომრის ფიგურა, რომელსაც დრომა უჭერაფს ხელში. იგი განასახიერებს ჩვენი სამშობლოს შვილების გმირობას, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ავსტრიელი ხალხის თავისუფლებას.

ძეგლთან ავსტრიელი არმიის მეომრებმა მწყობრული პატივი სცეს დაღუპულთა.

სამხედრო ორკესტრმა შეასრულა სსრ კავშირისა და ავსტრიის სახელმწიფო ჰიმნები.

ნ. ვ. პოდგორნიმ გვირგვინით შეამკო ძეგლი. ალიოფერ ლენტმზე წარწერილია: „გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში დაღუპულ საბჭოთა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი“.

ძეგლის გვირგვინით შემკობას დაესწრო ავსტრიის თავდაცვის მინისტრი ვ. პრადერი.

ვენა, 15 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ვენაში მოლაპარაკება დაიწყო საბჭოთა კავშირის დელეგაციამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მეთაურობით და ავსტრიის ფედერალური მთავრობის წევრებმა ფედერალური კანცლერის ი. კლაუსის მეთაურობით.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხზე.

საბჭოთა პარლამენტარეგის ვიზიტი

ლონდონი, 15 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ინგლისის პარლამენტის მოწვევით ლონდონში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გ. ი. ვორონოვი.

„ინტერგორმაში-67“

მოსკოვი. წლის ივლისში მოსკოვში გაიმართება სამთო მოწყობილობის საერთაშორისო გამოფენა — „ინტერგორმაშ-67“. ეს 15 ნოემბერს პრეს-კონფერენციაზე აცნობა საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს სსრ კავშირის მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილემ მ. ტ. მორგუნოვმა. დათვალიერება უკავშირდება საბჭოთა დედაქალაქში V საერთაშორისო სამთო კონგრესის გახსნას.

გამოფენაზე ნაჩვენები იქნება საბჭოთა საწარმოებისა და საზღვარგარეთის ფირმების მიერ გამოშვებული მანქანების, მექანიზმებისა და მოწყობილობათა კომპლექსების საუკეთესო ნიმუშები.

ექსპოზიცია განლაგდება მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის პავილიონებსა და ღია მოედნებზე.

ისევე, როგორც წინა საერთაშორისო გამოფენებზე, ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი იქნება საბჭოთა კავშირის პავილიონი.

გამოფენაში „ინტერგორმაშ-67“ მონაწილეობას მიიღებენ ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიისა და სხვა ქვეყნების ფირმები და საწარმოები.

(საკდესი).

მიწისქვეშა მშენებლები

ბაქო, 14 ნოემბერი. (საკდესი). ბაქოს მეტროპოლიტენის მშენებლებმა დღეს შეაერთეს „ვოგზლისა“ და „სპორტულის“ სადგურების მარჯვენა გადასარბენი გვირაბები. ამრიგად, ოსკარ ტოდეს, რაჯაბ ჯერბაილოვის, გუშმათ მამედოვისა და ივანე დერიაბინის ბრიგადებმა დაამთავრეს დიდი მიწისქვეშა ნაგებობის მშენებლობა. აზერბაიჯანის დედაქალაქის ქვეშ გაყვანილია სამკილომეტრიანი გზა მეტროს სადგურ „კომუნისტურსა“ და ვ. ი. ლენინის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონს შორის.

ბაქოში მიწისქვეშა მატარებლების მოძრაობა გაიხადიწყება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობაზე

ძვირფასო ამხანაგებო!

ვგრძნობ მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, ბულგარეთის პარტიის რიგებში გაერთიანებული თორმეტ-ნახევარი მილიონი კომუნისტის სახელით, ყველა საბჭოთა ხალხის სახელით ამ ბრწყინვალე გულითადი ძმური სალამი გადმოგცეთ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის დელეგატებს და თქვენი სახით ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა კომუნისტს, მთელ ბულგარელ ხალხს!

ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას, რომელმაც დაიბადა ხალხი მარქსისტულ-ლენინური დროშის ქვეშ, ყოველთვის ერთგულად მიჰყავს იგი სოციალიზმის გზით. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბულგარელმა მშრომელებმა წინათ ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყანა გადააქცევეს განვითარებულ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს თანამედროვე მრეწველობა, კოოპერირებული სოფლის მეურნეობა, დიდად განვითარებული მეცნიერება და კულტურა. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობას მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია შეხვდნენ პოლიტიკური, მეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში მოპოვებული ახალი შესანიშნავი წარმატებებით.

სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება ბულგარეთში, რომელიც უნარიანად ახამებს ინდუსტრიალიზაციის ჩქარ ტემპს, მანქანათმშენებლობის, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის განვითარებას სოფლის ფართო სოციალისტურ გარდაქმნასთან, კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეში მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად გამოყენების მაგალითია. იგი დიდმნიშვნელოვანი წვლილია სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილების მსოფლიო საგანძურში.

ჩვენს პარტიებს, ჩვენს ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებთ ნამდვილი ძმობა, რაც ბულგარელი და საბჭოთა ხალხების ერთობლივი მონაპოვარია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდად აფასებს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის გულითად დამოკიდებულებას და მუდამ ზრუნავს მისი შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის. საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს ბულგარელი კომუნისტების მეცადინეობას ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებისათვის. ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამ ყრილობისადმი. ჩვენ ვიზიარებთ თქვენს რწმენას, რომ ასევე აუცილებლად, მთლიანად და წარმატებით გადაიჭრება ბულგარეთში სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარების დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებსაც თქვენი ყრილობა განიხილავს. ამის საწინდარია ნიჭიერი ბულგარელი ხალხის ენთუზიაზმი, მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, მისი მარქსისტულ-ლენინური წინამძღოლის — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამოცდილება და პოლიტიკური სიმწიფე!

ჩვენ, კომუნისტებს, ერთმეორის საზრუნავი საკუთარ საზრუნავად მიგვაჩნია, და თვითეული მომძე პარტიის მიღწევები ჩვენს საერთო სიხარულს იწვევს. ეს ბუნებრივი გამოხატულებაა სოლიდარობის ღრმა გრძნობებისა, რომლებიც ყველა ქვეყნის კომუნისტებს აკავშირებს.

მოვლენათა მსვლელობა მსოფლიოში. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარება, სულ უფრო მეტად აყენებს პირველ პლანზე ინტერნაციონალიზმის საკითხებს, რომელიც გამოხატავს ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ერთგული შვილი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ამხანაგი ტოდორ ჟივკოვი, ბოლო წლების მანძილზე ბევრი ახალი შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა ახალი საზოგადოების მშენებლობაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბულგარელი ხალხი წარმატებით წყვეტს ახლა სოციალიზმის მშენებლობის ისტორიულ ამოცანას. ამ უდიდეს საქმეში სახალხო ბულგარეთის წარმატებანი მკაფიოდ და დამაჯერებლად გაშუქებულია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამ ყრილობისადმი. ჩვენ ვიზიარებთ თქვენს რწმენას, რომ ასევე აუცილებლად, მთლიანად და წარმატებით გადაიჭრება ბულგარეთში სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარების დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებსაც თქვენი ყრილობა განიხილავს. ამის საწინდარია ნიჭიერი ბულგარელი ხალხის ენთუზიაზმი, მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, მისი მარქსისტულ-ლენინური წინამძღოლის — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამოცდილება და პოლიტიკური სიმწიფე!

ჩვენ, კომუნისტებს, ერთმეორის საზრუნავი საკუთარ საზრუნავად მიგვაჩნია, და თვითეული მომძე პარტიის მიღწევები ჩვენს საერთო სიხარულს იწვევს. ეს ბუნებრივი გამოხატულებაა სოლიდარობის ღრმა გრძნობებისა, რომლებიც ყველა ქვეყნის კომუნისტებს აკავშირებს.

მოვლენათა მსვლელობა მსოფლიოში. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარება, სულ უფრო მეტად აყენებს პირველ პლანზე ინტერნაციონალიზმის საკითხებს, რომელიც გამოხატავს ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ერთგული ინტერესებისა და ბრძოლის ძირითადი ისტორიული მიზნების ერთობას. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს დროში ინტერნაციონალიზმის პრინციპები ყველაზე საიმედო კრიტერიუმია, რომლის საშუალებით თვითეულ კომუნისტს, თვითეულ კომპარტიას შეუძლია შეამოწმოს თავისი კურსის სისწორე, თავისი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებისადმი.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ითქვას აქ, თქვენს ყრილობაზე, რომ ჩვენ ყველანი ვიცნობთ და დიდ პატივს ვცემთ ბულგარელ კომუნისტებს არა მარტო როგორც მგზნებარე პატრიოტებს, რომლებსაც მხურვალედ უყვართ თავიანთი სამშობლო და თავიანთი ხალხი, არამედ აგრეთვე როგორც მტკიცე რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტებს. კომუნისტ-ინტერნაციონალისტს ყოველთვის შეგნებული აქვს, რომ არის ჯარისკაცი მსოფლიო განმათავისუფლებელი არმიისა. რომელიც დედამიწის ყოველ კუთხეში შეუპოვრად იბრძვის კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის. ბულგარეთის კომუნისტური პარტია, ისე როგორც სხვა მომძე პარტიები, საქმით გვიჩვენებს, რომ საკუთარი თავი მიიჩნია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად.

სხვა მომძე ქვეყნებთან ერთად ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა განუწყვეტლივ ზრუნავს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის საერთო ინტერესებისათვის, რომლის გავლენა მსოფლიო განვითარების მთელ მიმდინარეობაზე მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტია მისი გაერთიანებული ძალა, რაც უფრო მტკიცეა მისი შემადგენელი სოციალისტური ქვეყნების შეკავშირება, რაც უფრო მჭიდროა მისი კავშირი მსოფლიოს სხვა პროგრესულ, რევოლუციურ ძალებთან.

თვალს ვავლებთ რა სოციალიზმის თითქმის ხანგრძლივ საუკუნის გამოცდილებას, ვხედავთ, რომ სოციალისტური ქვეყნების მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა შეძლეს გამოეშუშავებინათ პოლიტიკა, რომელშიც სწორად არის შეხამებული თვითეული ცალკეული ქვეყნის ეროვნული ინტერესები მთელი სოციალისტური თანამეგობრობის, მთელი რევოლუციური და განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებთან. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თვითეული სოციალისტური ქვეყნის კომპარტიის უპირველესი მოვალეობა როგორც თავისი ხალხის, ისე მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე ეს არის, რომ საგოლოო გამარჯვებამდე მიიყვანოს სოციალისტური რევოლუცია თავის ქვეყანაში. წარმატებით ააშენოს სოციალიზმი, ხოლო შემდეგ კომუნიზმი. ეს ჩვენი როგორც ეროვნული, ისე ინტერნაციონალური მოვალეობაა.

იმის დამტკიცება, რომ სოციალიზმს მშრომელი ხალხისათვის მოაქვს ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლება, საზოგადოების საწარმოო ძალების სწრაფი განვითარება, მთელი ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება, კულტურის აყვავება, წინახდელი ეროვნული შეურლის შეცვლა ყველა ერის ძმური თანამშრომლობით, — ყოველივე ამის დამტკიცება არა სიტყვით, არამედ საქმით, საკუთარი ქვეყნის მაგალითით, — ეს, ამხანაგებო, უდიდესი წვლილია, რომელიც თვითეული სოციალისტური ქვეყნის კომპარტიას შეუძლია შეიტანოს და კიდევაც უნდა შეიტანოს მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებაში. ასეთი წვლილის საერთაშორისო მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ თვითეული სოციალისტური ქვეყნის განმტკიცება ამავე დროს არის მსოფლიოში მებრძოლი სხვა რევოლუციური ძალების პოლიტიკური, მორალური და მატერიალური საყრდენის განმტკიცება.

აი რატომ არის, რომ ბულგარეთის წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში ყველა მომძე პარტიას მიაჩნია დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის საქმედ. ეს წარმატებანი კი, თქვენში, ამხანაგებო, ნამდვილად დიდია და ძალიან მიხარია ეს.

სოციალიზმმა ძირეულად შეცვალა ბულგარეთის სახე. მისი ხალხის ცხოვრების პირობები. წინათ ჩამორჩენილი. ღარიბი, ბევრ რამეში დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე დამოკიდებული ბულგარეთი ახლა მოწინავე, აყვავებული ქვეყანაა. საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ჩქარი

(დასასრული მე-2 გვერდზე)

სოფია, 15 ნოემბერი. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის დღევანდელი დილის სხდომა დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლით. ყრილობის დელეგატები და სტუმრები ფეხზე ამდგარი მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურს.

დარბაზში გაისმის შეძახილები: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია!“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია!“, მარადიული მეგობრობა!“.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დაახლოებით მოისმინეს დიდი უურადღებით. სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე ტაში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

ტემპი, მისი ტექნიკური დონის სწრაფი ამაღლება, საკუთარი მრეწველობის და განსაკუთრებით ისეთი წამყვანი დარგების შექმნა, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, ქიმია, ენერგეტიკა, ბულგარეთს ევროპის განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების რიცხვში აყენებენ.

ბულგარეთის სოფლის — კოოპერირებული, სოციალისტური სოფლის — ახალმა წარმატებებმა ამრავლეს თქვენი ქვეყნის მიწათმოქმედთა დიდება. ეკონომიკის განვითარება საშუალებას იძლევა უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნები. ბულგარეთის მუშების, გლეხების, მშრომელი ინტელიგენციის აქტივობა საზოგადოებრივი ცხოვრების სულ სხვადასხვა დარგში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში დამაჯერებლად მოწმობს, თუ რა დიდი სასიცოცხლო ძალა აქვს სოციალისტურ დემოკრატიას, მოწმობს, ბულგარეთის ხალხის ავანგარდის — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის უნარიან ხელმძღვანელობას.

სახალხო ბულგარეთის, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმატებანი, — ეს, ამხანაგებო, საუკეთესო აგიტაციაა სოციალიზმისათვის, აგიტაციაა საქმით, რომელიც ზრდის ჩვენი იდეების მიმზიდველ ძალას, ჭეშმარიტად უძლეველს ხდის მათ!

ახლა, როცა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც კაცობრიობის განვითარებას განსაზღვრავს, გახდა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს თავიანთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობად მიაჩნიათ დაუცხრომლად იზრუნონ მისი გაერთიანებული ძლიერების ზრდისათვის, სოციალისტურ სახელმწიფოთა შეკავშირების განმტკიცებისათვის, მათი მოქმედების შეთანხმებისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში.

ძალა ერთობაშიაო, მუშათა მოძრაობის ეს ძველი, შესანიშნავი დევიზი დღეს ახლებურად აქტუალურია სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობაში. სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობას საფუძვლად უდევს სრული თანასწორფლებიანობა, თვითეული ქვეყნის სუვერენიტეტის პატივისცემა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაუურევლობა. ამასთანავე ეს ურთიერთობა კიდევ უფრო ვითარდება, უფრო ღრმა და პროგრესულია, ვიდრე სხვა რომელიმე საერთაშორისო ურთიერთობა, რომელიც დღემდე ყოფილა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საპროგრამო დოკუმენტებში — დეკლარაციისა და განცხადებაში — დასახელებულია აგრეთვე ისეთი პრინციპები, როგორიც არის ძმური მეგობრობა, ამხანაგური ურთიერთდახმარება, ურთიერთმხარდაჭერა, ერთმანეთის გამოცდილების შესწავლა. ეს არის შესანიშნავი პრინციპები, ამხანაგებო, ისინი შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობაში.

აბორიგენებენ რა ლენინის ანდერძს, უჩვენებენ რა მსოფლიოს საერთაშორისო ძმობისა და ამხანაგობის მაგალითს, სოციალისტური ქვეყნები წარმატებით ავითარებენ თავიანთ თანამშრომლობას სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ასეთი თანამშრომლობის კარგი მაგალითია ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე სოციალისტური სახელმწიფოების ურთიერთობა. სოციალისტური ბულგარეთი მოძმე ქვეყნების ოჯახის ერთ-ერთი აქტიური წევრია. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ზრუნვა სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის, მათი ეკონომიკის დაახლოებისათვის, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის განმტკიცებისათვის, დამაჯერებლად მოწმობს მის ურყევ ერთგულებას სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი.

ამხანაგებო! კომუნისტური მოძრაობა ღრმად ინტერნაციონალურია თავისი ბუნებით. იგი დამკვიდრდა „კომუნისტური მანიფესტის“ უკვდავი მოწოდებით — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, დღეს ეს მოწოდება განსაკუთრებით აქტუალურად ჟღერს. ზრუნვა ყველა ქვეყნის მუშათა კლასის შეკავშირებისათვის და უწინარეს ყოვლისა მისი მოწინავე რაზმის — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის ნაცად საფუძველზე დღეს ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ორ სამყაროს — კაპიტალიზმის სამყაროსა და სოციალიზმის სამყაროს შორის რთული, დაძაბული და მრავალგვარი ბრძოლის ახლანდელ პირობებში ჩვენ განსაკუთრებული ძალით ვგრძნობთ, რომ საჭიროა ყველა კომპარტიის ძმური სოლიდარობა და მუდმივი ამხანაგური კავშირი. უშუალო კონტაქტები, გამოცდილებისა და აზრთა ამხანაგური გაზიარება, მსოფლიო განვითარების აქტუალური საკითხთა კოლექტიური განხილვა ეხმარება მოძმე პარტიებს უკეთ ესმოდეთ ერთმანეთისა, სწორად განსაზღვრონ ხოლმე თავიანთი საერთო პოლიტიკური გეზი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგია და ტაქტიკა. ასეთი კოლექტიური მუშაობა ახლა უაღრესად საჭირო ხდება. მთელი რიგი მოძმე პარტიები შემთხვევით როდი გამოთქვამენ ამ ბოლო დროს აზრს, რომ სულ უფრო მტკიცდება პირობები კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირის მოწვევისათვის.

და ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობა, მისი მებრძოლი რაზმების შეკავშირება განუწყვეტლივ გაიზრდება და განმტკიცდება. ყველა ჩვენთვის სასიხარულოა ვხედავდეთ, რომ დღეს, ისე როგორც მუდამ, ამ ერთობისათვის, ჩვენი იდეური იარაღის სიწმინდისათვის ყველაზე აქტიურ მებრძოლთა რიგებში დგას ბულგარეთის კომუნისტური პარტია, გიორგი დიმიტროვის პარტია!

ამხანაგებო, ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როცა კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ისტორიულ გამარჯვებებს აღწევს. სოციალისტური სისტემისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის მძლავრ მხარდაჭერაზე დაყრდნობით მებრძოლმა ხალხებმა იმპერიალიზმის კოლონიურ სამფლობელოთა სისტემის თითქმის სრულ დამხობას მიაღწიეს. მთელი მსოფლიოს კომუნისტები აქტიურად მონაწილეობენ ამ დიად განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ისინი ყოველი ღონისძიებით ეხმარებიან ჰაგრულ ხალხთა ბრძოლას, განამტკიცებენ სოლიდარობას განთავისუფლებულ ქვეყნებთან, ხელს უწყობენ მათს ეროვნულ დამოუკიდებლობასა და სოციალურ პროგრესს.

ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობასთან საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საბრძოლო კავშირის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა დღეს საერთაშორისო მხარდაჭერა, რასაც სოციალისტური ქვეყნები და მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები უწევენ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ. ამერიკული იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო ფრონტი მტკიცდება და ფართოვდება. ჩვენ აღტაცებული ვართ ვიეტნამელი ხალხის გმირობით, რომელიც მამაცურად იცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, და დარწმუნებული ვართ, რომ მისი მართალი საქმე გაიმარჯვებს. ყოველმხრივ დახმარებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები უწევენ მებრძოლ ვიეტნამს, კონკრეტული, ქმედითი ხასიათი აქვს, და ყველამ იცოდეს, რომ ეს დახმარება გაგრძელდება, სანამ ბოლო არ მოეღება ამერიკის აგრესიას ვიეტნამის წინააღმდეგ!

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, ისე როგორც სხვა სოციალისტური სახელმწიფოები, ძმურ დახმარებას უწევს ვიეტნამელ ხალხს იმპერიალისტი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში, იგი ეხმარება სხვა ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლასაც, აგრეთვე დახმარებას უწევს ბევრ განთავისუფლებულ ქვეყანას მათი დამოუკიდებლობის განმტკიცებაში. ამ ქვეყნების ხალხებმა კარგად იციან: სოციალისტური ბულგარეთი და მისი კომუნისტური პარტია ღირსეულად შეასრულებენ ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლებთან რევოლუციური სოლიდარობის მოვალეობას.

როცა ვლაპარაკობთ დახმარებაზე, რასაც სოციალისტური ქვეყნები უწევენ ვიეტნამის ბრძოლას, არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი იმ როლს, რომელსაც ამ დიდ და თვითეული კომუნისტისათვის ძვირფას საქმეში ასრულებს ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა. დიდი გულისტკივილის გრძნობით იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ მოძმე პარტიების ყველა ღონისძიება — მიაღწიონ ჩინეთთან მოქმედების ერთიანობას თუნდაც ამ ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხში ჩინეთის ხელმძღვანელობის კატეგორიულ უარს აწყდება. გააფთრებით უარყოფენ რა მოქმედების ერთიანობის თვით იდეას, ცდილობენ გააღვიძონ ჩინელ ხალხში სოციალიზმის ქვეყნებისადმი მტრობა და დაჟინებით განაგრძობენ რა გამოიშველ საქმიანობას საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები სულ უფრო უმორჩილებენ თავიანთ პარტიულ და სახელმწიფო პოლიტიკას ვიწრო ნაციონალისტურ მიზნებს, უგულებელყოფენ სოციალისტური თანამეგობრობისა და მთელი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის საერთო ინტერესებს.

მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ამჟამად ჩინეთში ხორციელდება, რა თქმა უნდა, მცირე ზიანს როდი აყენებენ ჩვენს საერთო საქმეს — სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმეს. ამავე დროს მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ახლანდელი სიძნელეები გადაილახება და ჩინელი ხალხი, მისი კომუნისტური პარტია კვლავ დაიკავებენ თავიანთ ადგილს სოციალისტური თანამეგობრობისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებულ რიგებში. ნება მიბოძეთ განვაცხადო, ძვირფასო მეგობრებო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სხვა მოძმე პარტიებთან ერთად ყოველ ღონეს იხმარს, რათა განმტკიცდეს მთელი სოციალისტური თანამეგობრობისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობა და შეკავშირება.

ამხანაგებო, 81 ქვეყნის კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა თავიანთ განცხადებაში, რომელიც 1960 წელს მიიღეს, მოუწოდეს „დაუპირისპირონ ომის ძალებს საერთაშორისო პროლეტარიატის ყველა რაზმისა და ორგანიზაციის ძლავრი ნება და ერთიანი მოქმედება, გააერთიანონ მთელი მისი ძალები ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის“. ამ ისტორიული ამოცანის გადაჭრაში უდიდესი როლი ეკუთვნის სოციალიზმის ქვეყნებს.

ახორციელებენ რა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ვენერალური ხაზის ამ დიდმნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, სოციალისტური ქვეყნები თანამიმდევრულად იცავენ მტკიცე მშვიდობის საქმეს, ამხილებენ აგრესორებს, აძლიერებენ თავიანთ თავდაცვას, პრაქტიკულად იყენებენ საგარეო პოლიტიკაში სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს.

სახალხო ბულგარეთი აქტიურ მონაწილეობას იღებს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის, ევროპის უშიშროებისათვის, ბალკანეთის მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ადამიანებს უხარიათ, რომ გაიზარდა მოძმე ბალკანეთის პრესტიჟი საერთაშორისო ასპარეზზე. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის აზრს აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე ახლა ყურს უგდებენ არა მარტო მისი ახლო მეზობლები, არამედ აგრეთვე ბევრი სხვა სახელმწიფოც. და თუ ახლა ბალკანეთი „დენთის სარდაფიდან“ გადაიქცა ზონად, სადაც ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა სახელმწიფოებს შორის, ამაში სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან ერთად, უეჭველია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ. ეს არის ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი შედეგი.

სახელი და დიდება, ამხანაგებო, ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მაღლა უჭირავს პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დროშა!

სოციალისტური ქვეყნების სოლიდარობის საიმედო, შეიძლება ითქვას, ურღვევი რგოლია ბულგარელი და საბჭოთა კომუნისტების მეგობრობა და ერთობა, საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა და ერთობა. ეს მკაფიოდ იყო აღნიშნული ამხანაგ ივკოვის მოხსენებასა და ყრილობის დელეგატების გამოსვლებში, და ჩვენ მთლიანად ვუერთდებით მის სიტყვებს. ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ, როგორ იზრდება, მტკიცდება, სრულყოფილი ხდება ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა და კონტაქტები, რითაც გამსჭვალულია ჩვენი პარტიული, სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კულტურული საქმიანობის ყველა დარგი, ჩვენი ქვეყნების მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა მხარე. სულ უფრო ფართოვდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება, სულ უფრო მჭიდრო ხდება ჩვენი ხალხების სულიერი ურთიერთობა.

ჩვენი ორივე პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ეკონომიური ურთიერთობის გადიდებას. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საქონელბრუნვა ჩვენს ქვეყნებს შორის ერთიორად გადიდდა, უახლოეს ხუთწლეულში იგი კიდევ უფრო გადიდდება. ამით, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ამოიწურება ჩვენი ეკონომიური თანამშრომლობის შესაძლებლობანი. არის კიდევ დიდი ასპარეზი საწარმოო კოოპერაციისა და წარმოების სპეციალიზაციისათვის, ჩვენი სახალხო-სამეურნეო გეგმების უფრო მჭიდროდ შეთანხმებისათვის.

ცალკე უნდა ითქვას ჩვენი ქვეყნების მრეწველობის კოოპერირების მნიშვნელობაზე. ჩვენ, ისევე როგორც ბულგარელი ამხანაგები, აქტიურად ვესწრაფვით ამას. ეს ეჭვი არ არის, სოციალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიური თანამშრომლობის მაღალი საფეხურია. კარგად მოგვარებული კოოპერირება მნიშვნელოვან ეკონომიურ სარგებლობას აძლევს მის მონაწილეებს და საშუალებას უქმნის უფრო სწრაფად იაროონ ტექნიკური პროგრესის გზით, ეხმარება გადაჭრან ინდუსტრიალიზაციის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ კოოპერირების განვითარებაში ჩვენს ქვეყნებს აქვთ კარგი, რეალური პერსპექტივები და გულწრფელი დაინტერესება.

ჩვენი თანამშრომლობის ურთიერთ სარგებლობა სულ უფრო საგრძნობი ხდება. საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ხალხები ჭეშმარიტად გრძნობენ ერთმანეთის ძმურ სიახლოვეს და ეს ახალ ძალებს მატებს მათ, აჩქარებს ჩვენს წინსვლას.

ნება მომეცით, ძვირფასო ამხანაგებო, ერთხელ კიდევ აღგითქვათ, რომ საბჭოთა ადამიანები მუდამ ერთგულნი იქნებიან ჩვენი დიადი მეგობრობისა, ბედნიერებაშიც და განსაცდელშიც მუდამ იქნებიან თქვენთან ერთად, ახალი ცხოვრების შემოქმედთა ერთიან მწყობრში.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, გამოვთქვა სრული რწმენა, რომ ბულგარეთის კომპარტიის IX ყრილობის მუშაობა იქნება ახალი დიდი ნაბიჯი თქვენი ქვეყნის განვითარების გზაზე, ახალი მნიშვნელოვანი წვლილი მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარებაში, სამსახურს გაუწევს მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის კიდევ უფრო შეკავშირებას.

სულით და გულით ვუსურვებ ბულგარეთის კომუნისტებს ახალ-ახალ სახელოვან გამარჯვებას სოციალიზმისათვის, მშვიდობისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში!

გაუმარჯოს ბულგარელი ხალხის მებრძოლ ავანგარდსა და ნაცად მელადს — ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ხალხთა, ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურღვევ ძმურ მეგობრობას!

დაე მტკიცდებოდეს და აყვავდეს ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და ბედნიერების საიმედო ბურჯი — სოციალიზმის მსოფლიო სისტემა!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა საბრძოლო ერთობას მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით!

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ყრილობის პრეზიდიუმს გადავცე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობისადმი.

* * *

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დასასრულს ყრილობის მონაწილენი ფეხზე ამდგარნი უსმენდნენ.

დასასრულ ლ. ი. ბრეჟნევმა ყრილობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მოძმე ბულგარეთის კომუნისტური პარტიისადმი დიდი სიყვარულის ნიშნად გადასცა სამახსოვრო საჩუქარი — მოდელი კოსმოსის დამპყრობის მონუმენტისა, რომელიც დადგმულია ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში.

დაე ეს საჩუქარი, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, მოწმობდეს ჩვენი ეპოქის სიდიადეს, კაცობრიობის გაბედულ შემართებას, რომელიც შვა ძლევამოსილმა სოციალიზმმა, კეთილშობილურ მიზნებს, რომლებსაც ისახავენ კომუნიზმისათვის მებრძოლნი.

დაე ეს ქანდაკება ამავე დროს იყოს ჩვენი მეგობრობისა და ძმობის მაღალი იდეალების სიმბოლო.

ამ სიტყვებს ყრილობა შეხვდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით და შეძახილებით „მარადიული მეგობრობა!“, „მარადიული მეგობრობა!“.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის შემდეგ ყრილობის დელეგატები განაგრძობდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშების განხილვას. მათ მხურვალედ მოიწონეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, ცენტრალური კომიტეტის პრაქტიკული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, აგრეთვე ყრილობის განსახილველად შემოტანილი ბულგარეთის განვითარების შემდეგი ხუთწლიანი გეგმის დირექტივები.

ყრილობას მიესალმნენ მოძმე პარტიათა დელეგაციების მეთაურები.

ᲯᲘᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

რუსთავი. (საკ. კორ.). რუსთაველ ფართოდ შლის მხრებს დიდი ქიმია. ამ სათანადო კადრები ესაჭიროება. ამიტომ წელს აქ გახსნეს სპეციალური პროფტექნიკური სასწავლებელი, სადაც ახალგაზრდობა სწავლობს დ. ახლოებით 10 პროფესიას. ეუფლებიან სპეციალობას მომავალი კაპრონის ბოჭკოს მგრეხავები, მქსოველები, მეაპარატეები. ზეინკლები, ლაბორატორები.

წელს სკოლაში 500-ზე მეტი ახალგაზრდა მიიღეს. სწავლების დაწყებიდან ერთ თვეზე მეტი გავიდა. მომავალი სპეციალისტები მონდომებით ეუფლებიან ქიმიკოსთა პროფესიებს.

მალე მწყობრში ჩადგება სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მეორე რიგი. როგორც პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა თ. ქორჩიაშვილმა აღნიშნა, ქარხნისათვის ახლა მზადდება ღირსეული ცვლა, რომელიც ახლო მომავალში დიდი ქიმიის ძირითადი კადრები იქნება.

◆

ᲮᲣᲗᲓᲦᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲙᲕᲘᲠᲐᲖᲔ

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ელექტროტექნიკური ქარხნის ელექტროვიბრატორთა ქალაქ თბილისის საწარმოთა შორის პირველი გადავიდა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე.

ამ გადასვლამ, რომელსაც წინ ეღობოდა საკმაო მოსაზრებელი ვითარება, კეთილმყოფელი გავლენა იქონია საწარმოს ყველა რგოლის საქმიანობაზე. საამქროები და უბნები რიტმულად, გრაფიკის მიხედვით მუშაობენ. ქარხანამ ყველა დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით გადაიარა ჭარბებით შესრულა ოქტომბრის თვის დავალება და გაცილებით ადრე მოაბარა სწავლავი და ელექტროენერგია დანიშნულებისა, ვიდრე წინა თვეში.

ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებსა, მუშა-მოსამსახურეებს ახლა მეტი დრო რჩებათ თავიანთ თავზე მუშაობისათვის, კულტურული დასვენებისათვის. დასვენების დღეებში მოიკრიბებიან ექსკურსია სათაფლიის ტბასა, კრძალში, გიმბართა ქარხნის სპორტულ ბანაკში, ბალნეოლოგიურ სანატორიუმში, ბურეთის ტბაზაზე, ბალნეოლოგიურ სანატორიუმ „ბორჯომი“ და ა. შ.

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲙᲕᲘᲠᲐᲖᲔ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. (საკ. კორ.). ოქრის რეფინერია ციტრუსოვანთა ბაღებში. თვალისმომჭრელად ბრწყინავენ მწიფე ნაყოფით დატვირთული ხეები.

ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-დამზადების პირველი დღეებიდანვე იგრძნობა, რომ შრომისმოყვარე მეციტრუსეები წელს გაცილებით უფრო მაღალ მოსავალს მიიღებენ, ვიდრე წინა წლებში.

— ჩვენი მეურნეობის კოლექტივი მიდინარე სეზონში ციტრუსოვანთა საკვლევ თესლ მოსავალს მიიღებს, — გვეუბნებიან ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, საბჭოთა კავშირის გმირი ელისო ტუღუში, — სამმოკლე მივიღეთ სულ ცოტა 400 ტონა მანდარინი, 700 ტონა ფორთოხალს, 150 ათას ცალ ლიმონს.

აქაური მეციტრუსეები ყოველდღიურად ათეულ ტონობით ციტრუსებს აბარებენ შემფუთავ ქარხანას, სადაც ნაყოფს შეფერხებლად აშუშავებენ და ვაგონებში გზავნიან ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში. მეურნეობის შემფუთავი ქარხნის მუშაკები (გამგე გური თავაძე) ეუბნებიან, რომ ბევრ ციტრუსოვანთა მაღალხარისხოვნად გადამუშავებისათვის.

მეციტრუსე მგრეფაკები თამარ ჩიტაძე, გუფული ჩუბინიძე, მაყვალა ჩიტაძე და სხვები დღეში 300-400 კილოგრამ მანდარინს კრეფენ თვითეული.

ციტრუსოვანთა კრეფა-დამზადება წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე, ურეკის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობასა, სოფლების ნატანებს, ჯუმათის, კინჩეშის, მერრის კოლმეურნეობებში.

◆

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘ. სამთო ინჟინერი ა. ერაძე სოფელ სავანეში სავენახე მიწის დამუშავებისას საინტერესო განძს წააწყდა. მან იპოვნა ვერცხლის მონეტები.

ა. ერაძეს ნაპოვნი გადაუგზავნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. სპეციალისტების აზრით, ეს არის არაბული მონეტები და განეკუთვნებიან მერვე საუკუნეს, როცა საქართველოში არაბები ბატონობდნენ.

თ. სახეიჩიძე.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. კიდევ უფრო მიმზიდველი და ლამაზი ხდება სოფელი ეწერი. ახლახან სოფლის მშრომელებმა ტალ ძვირფასი საჩუქარი — ჯაბანელი მოაწყეს და სასმელი წყალი მიიღეს.

წყლის ჭაბურღილი გაღმა ანჯეფარის ტერიტორიაზეა, სადაც მესაქონლეობის ფერმა იმყოფება.

რ. ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲐ.

ᲬᲜᲐᲠᲘ. რაიონულ ცენტრში წელს დაიწყო ოთხბინიანი კაპიტალური შენობის მშენებლობა. სამშენებლო სანუშაოთა ძირითადად დამთავრებულია. სახლის ექსპლოატაციაზე გადაცემა გათვალისწინებულია მომდინარე წლის ბოლოსათვის.

ხუთწლედის პირველ წელს წნორის რაიონის მშრომელები კიდევ ერთ საცხოვრებელ სახლს მიიღებენ.

Ვ. ᲫᲔᲚᲘᲫᲔᲚᲐᲕᲐ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო თვალიერებისათვის აქტიურად ემზადებიან ბათუმის რაიონის თვითმმართველობანი. ამ მიზნით ორგანიზებულ კოლექტივები.

დიდი გამოცოცხლება იგრძნობა ბათუმის კოლმეურნეობის კლუბში. რეგულარულად იკრიბებიან თვალსაჩინო მოქმედი ანსამბლის წევრები: მერაბ ბერეები, მეციტრუსეები, მეცხოველეები და გ. გრეკოვის ხელმძღვანელობით ამზადებენ ახალ რეპერტუარს.

Გ. ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲒᲐᲨᲐ. კიდევ უფრო მიმზიდველი და ლამაზი ხდება სოფელი ეწერი. ახლახან სოფლის მშრომელებმა ტალ ძვირფასი საჩუქარი — ჯაბანელი მოაწყეს და სასმელი წყალი მიიღეს.

წყლის ჭაბურღილი გაღმა ანჯეფარის ტერიტორიაზეა, სადაც მესაქონლეობის ფერმა იმყოფება.

რ. ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲐ.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ-ᲡᲐᲥᲐᲠᲩᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲐᲠᲘᲡ საწარმო, რომლის მიერ გამოშვებული პროდუქცია განუსრულად დაკავშირებულია ყოველი ადამიანის ცხოვრებასთან, დიდი იქნება იგი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, სწორედ ასეთ საწარმოს წარმოადგენს თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“.

თბილისური ფეხსაცმელი მომხმარებელთა შორის კარგი სახელით სარგებლობდა. მაღალი გემოვნებითა და უნაკლოდ შესრულებული, მოსდენილი, მსუბუქი ფეხსაცმელი რესპუბლიკის გარეთაც იზიდავდა მყიდველს.

მაგრამ გადიოდა წლები. ფაბრიკაში, რომელიც აგერ უკვე 30 წელია არსებობს, არავითარი რეკონსტრუქცია არ ჩატარებულა. წელიწადში 7,2 მილიონ წყვილ ფეხსაცმელზე გათვალისწინებული არსებული სიმძლავრენი, რვა საათის სამუშაო დღით ოთლად უზრუნველყოფდნენ (ნორმალური მომარაგების პირობებში) გეგმების შესრულებას — 4,5 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი 1955 წელს და 6 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი 1960 წელს.

შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლამ ფაბრიკის ცხოვრებაში თავისი კორექტივები შეიტანა. მოძველებული მანქანადანადგარები ვერ აკმაყოფილებდნენ გაზრდილ გეგმებს, ფერხდებოდა წარმოების შემდგომი ზრდა. საგრძნობლად გაუარესდა პროდუქციის ხარისხი, იმატა რეკლამაციამ, ფეხსაცმელი საწყობებში ჩაწვა.

— მთელი კოლექტივის ერთსულოვანი მეცადინეობის შედეგად, — განაცხადა მეორე საფაბრიკო პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებისას პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. მაჭახოევმა, — ჩვენ შევძელით კომუნისტებზე მტკიცედ დაყრდნობით აგვემაღლებინა მეფეხსაცმელეთა შრომითი შემართება, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვის გზით, შრომის სწორი ორგანიზაციისა და მოწინავე მეთოდების უნარიანი გამოყენებით ფაბრიკა გამოგვიყვანა ახალი მძიმე მდგომარეობიდან და ერთ-ერთ საუკეთესოდ ჩამოგვიყენებინა.

ამის ნათელი დადასტურებაა ფაბრიკის კოლექტივის უკანასკნელი ერთი წლის მოღვაწეობა. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა დელეგატებმა ერთხმად აღიარეს, რომ საწარმომ წელს მიაღწია ისეთ დადებითს შედეგებს, როგორიც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ ჰქონია. საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, რომ განვლილ 9 თვეში ფაბრიკის კოლექტივმა სახალონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 101,9 პროცენტით და გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 358,1 ათასი მანეთის ფეხსაცმელი, პროდუქციის რეალიზაციის გეგმა გაანადლა 109,2 პროცენტით, თვითღირებულების მნიშვნელოვანი შემცირებით გასწია 90,5 ათასი მანეთი ეკონომია. ასეთი წარმატებით არის შესრულებული შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სხვა ეკონომიური მაჩვენებლების გეგმებიც.

ფაბრიკის სამეურნეო მოღვაწეობაში მოპოვებული წარმატებანი შედეგია იმ ავანგარდული როლისა, რომელსაც პარტიული კომიტეტი და რიგითი კომუნისტები ასრულებდნენ.

კონფერენციაზე დაახასიათეს მრავალი ადამიანი, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი სამაგალითო შრომითა და მაღალი საწარმოო დისციპლინით. მათ შორის ნ. ვოსკანოვა, ს. ოსლონოვა, შელეხოვა (I საამქრო), გ. არხიშვილი, ი. დუბკოვა, ო. ოსიეკმაშვილი (II საამქრო), აგრეთვე ბესამე საამქროდან ოგანეზოვი, ინდადაშვილი, ე. ბაროიანი და მრავალი სხვა, რომლებიც პარტიული

ქირურგები განიხილავენ სისხლის გაღასხმის პრობლემებს

15 ნოემბერს თბილისში მოშობა დაიწყო ქირურგთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის IX პლენუმმა. იგი ეძღვნება თანამედროვე მედიცინის ორ დიდმნიშვნელოვან პრობლემას: სისხლის გადასხმას ქირურგიაში და კუჭნაწლავის სისხლდენას.

600-ზე მეტი სპეციალისტი, რომელთა შორის არიან : საბჭოთა მედიცინის გამოჩენილი წარმომადგენლები, მოინმენენ და განიხილავენ 50 მოხსენებას აქტუალურ საკითხებზე, რომლებსაც დიდი მეცნიერული და კლინიკური მნიშვნელობა აქვთ.

პლენუმი შესაფერი სიტყვით გახსნა ქირურგთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ადადემიკოსმა ბ. ვ. პეტროვსკიმ.

ქირურგთა ფორუმი მიმდინარეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, სოციალისტური შრომის გმირის კ. დ. ერისთავის თავმჯდომარეობით.

შეკრებილთ მიესალმა თბილისის შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი.

პირველ დღეს პლენუმმა მოისმინა მოხსენებები, რომლებიც შეეხება სისხლის გადასხმის თანამედროვე მეცნიერულ და პრაქტიკულ პრობლემებს, სისხლის შემცვლელთა როლს, სისხლის პირდაპირ გადასხმას ქირურგიაში, ნეფროლოგიასა და ონკოლოგიაში, და სხვ.

საქმიანის კორესპონდენტმა სოხოვა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს, აკადემიკოს ბ. ვ. პეტროვსკის გაეცნო პრობლემები, რომლებსაც პლენუმი განიხილავს.

— ქირურგიის, ტრავმატოლოგიის თანამედროვე განვითარება, ბოლომდერების ფართოდ დანერგვა სამედიცინო პრაქტიკაში, — თქვა მან, — საშუალებას გვაძლევს წარმატებით ვაწარმოთო ფართო ქირურგიული ჩარევა გულის სარქველებში. ასეთი ოპერაციებისათვის ძალიან ბევრი სისხლია საჭირო. თუ ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მიჩნდათ, რომ ბევრი იყო ორი ლიტრი სისხლის გადასხმა, ახლა განსაკუთრებით „ხელოვნური გულფილტვების“ აპარატის გამოყენებისას საჭიროა 5-10 ლიტრი სისხლი. ამიტომ ქირურგიები აყენებენ მაკონსერვირებელ გარემოთა სრულიოფის, სისხლის ქიმიზმის, სისხლის შემცვლელი ხსნარების გადასხმის საკითხს და სხვ. პლენუმი განიხილავს სხვადასხვა დაავადების დროს სისხლის გადასხმის ჩვენებასა და წინააღმდეგ ჩვენებას. ახლა უსისხლოდ მეცნიერალობა შეიძლებელია, რადგან სისხლი არის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მეთოდი თანამედროვე მედიცინაში.

— ორანაკლებ მნიშვნელოვანია, — განაგრძო აკადემიკოსმა ბ. ვ. პეტროვსკიმ, — კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სისხლდენის პრობლემა, რაც საკმაოდ ხშირად ვეხვდება პრაქტიკულ ქირურგიაში. ექიმებს შესაძლებლობა აქვთ ზუსტად განსაზღვრონ სისხლდენის ადგილი და ამასთან დაკავშირებით უფრო სწორად და სამიდიდო უმკურნალონ. ამ დროს იყენებენ აგრეთვე სისხლის გადასხმასა და ოპერაციულ ჩარევას.

— საბჭოთა ქირურგიის მიღწევები ამ პრობლემებში ძალიან დიდია. საკმარისია ითქვას, რომ სისხლის დაკონსერვების ბირველი მასობრივი სისტემა ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა. სისხლის მიმოქცევის ყველა ავრეთვე ჩვენში დაიწყო.

ქირურგთა სრულიად საკავშირო საზოგადოების IX პლენუმი, რომელიც სამ დღეს გასტანს, შუქს მოჰფენს ბევრ გადაუჭრელ საკითხს. იგი დაეხმარება პრაქტიკოს ქირურგებს უფრო ზუსტად დასვან ავადმყოფობის დიაგნოზი და გადიდონ მკურნალობის ეფექტიანობა.

პლენუმის გახსნას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. გ. ტურუა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. ხარაძე**, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ლ. ა. საყვარელიძე.** (საქდესი).

მეგობრობის ვითარებაში

რუმინეთში მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება. ამ წარმატებითი მოლაპარაკების შედეგად ბუქარესტში ხელი მოაწერეს ოქმს რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის 1967 წლის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ.

ურთიერთმიწოდების მოცულობა ორ ქვეყანას შორის 1967 წელს მიაღწევს 730 მილიონ მანეთს და დაახლოებით 9 პროცენტით გადააჭარბებს მოცულობას, რომელიც 1966 წლისათვის იყო გათვალისწინებული.

სსრ კავშირი რუმინეთს მიაწვდის ჩარხებს, ამწე-სატრანსპორტო და საამშენებლო მოწყობილობას, ელექტროტექნიკურ მოწყობილობას, მსუბუქ მანქანებს, კოქსს, კოქსვად ქვანახშირს, რკინის მადანს, ფეროშენადნობებს, ქიმიკატებს, ფოლადის ნაგლინს, ბამბას, ფართო მოხმარებას საქონელსა და სხვა საქონელს.

რუმინეთი სსრ კავშირს მიაწვდის ჩარხებს, საბურღ და სხვა დანადგარებს ნავთობის მრეწველობისათვის, ელექტროტექნიკურ მოწყობილობას, გემებს, ნავთობპროდუქტებს, ფოლადის მილებსა და ნაგლინს, ქიმიკატებს, შეკერილ ტანსაცმელს, ახალ და დაკონსერვებულ ხილსა და ბოსტნეულს, აგრეთვე სხვა საქონელს.

სსკ თვითმფრინავი ცხოვრობს

ბრაზილიაში არჩევნების წინ

რიო-დე-ჟანეირო, 15 ნოემბერი. (საქდესი). დღეს ბრაზილიაში არჩევნების დღეა. ხელახლა უნდა აირჩიონ დეპუტატთა პალატის 409-ვე წევრი, ეროვნული კონგრესის 66 სენატორიდან 22 და ბრაზილიის 22-ე შტატის საკანონმდებლო ასამბლეის წევრები. 1964 წლის აპრილში ხელისუფლების სათავეში სამხედრო პირთა ჩადგომის შემდეგ ეს პირველი პირდაპირი არჩევნებია ბრაზილიაში.

მნეკავლება მთავრობის ქრიზისი

ბონი, 14 ნოემბერი. (საქდესი). გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ბრანდტმა დღეს ბონუნბერგში განაცხადა, რომ ამჟამად „არ მიაჩნია საჭიროდ შეიქმნას გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირ — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკების წინ, რომელმაც უნდა განიხილოს მთავრობის კოალიციის შექმნისა და ამით ბონის მთავრობის კრიზისის აღმოფხვრის საკითხები.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი პარტიის ხელმძღვანელობა ახალ მთავრობაში ყოფილი თავდაცვის მინისტრის შტრაუსის მონაწილეობის წინააღმდეგია. შტრაუსს მინისტრის პოსტი აღუთქვა კანცლერის პოსტის კანდიდატმა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი—ქრისტიანულ-სოციალური კავშირისაგან კიზინგერმა.

გმოგენ აგრესიას!

დელი, 14 ნოემბერი. (საქდესი). აქ მუშაობას განაგრძობს საერთაშორისო კონფერენცია ომის საფრთხის, სამხედრო პაქტებისა და ბაზების, ატომური იარაღისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ. დღეს გამოსულმა ორატორებმა დაგმეს, რომ ამერიკა ბომბავს ჩრდილოეთ ვიეტნამს, აგრეთვე ინგლისის პოლიტიკა როდესაც ომმართ და კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკა, რომელსაც იმპერიალისტური ქვეყნები ახორციელებენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მიმართ. მათ მოითხოვეს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, გაიყვანონ ჯარები ვიეტნამიდან და განთავისუფლების ეროვნული ფრონტი ცნონ სამხრეთვიეტნამელი ხალხის კანონიერ წარმომადგენლად.

დიდი ყურადღებით მოისმინეს საბჭოთა დელეგაციის მეთაურის აკადემიკოს ფ. ვ. კონსტანტინოვის გამოსვლა, რომელმაც დიდი შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მწვავდება საერთაშორისო დაძაბულობა და საერთაშორისო რეაქციის აგრესიული ძალები ამერიკის იმპერიალიზმის მეთაურობით ცდილობენ საფრთხეს უქმნიან მშვიდობას. განსაკუთრებით დაძაბული და საშიში ვითარება შეიქმნა, აღნიშნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის რაიონში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალები საზარელ დანაშაულს სჩადიან ვიეტნამში და ბარბაროსულად ბომბავენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა მხარი დაუჭირა კონფერენციაზე გამოთქმულ კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც ნაკარნახევია მისწრაფებით გაერთიანონ ამათი მასობრივი მოქმედება ვინც ებრძვიან ვიეტნამელ ხალხს დაიცვას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წმიდათა წმიდა უფლება. ფ. ვ. კონსტანტინოვმა კონფერენციის კვლავ აღუთქვა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც იქნის დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით — ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და ძმობის გზით.

დღეს ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტმა ზაკირ ჰუსეინმა კონფერენციაში მონაწილეობისათვის ჩამოსულ უცხოეთის დელეგაციათა პატივსაცემად დრეტაზობა გამართა.

პესიმიზმის განწყობილებით

პარიზი, 15 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი **ა. კრასიკოვი** იუწყება: გუშინ ამაკარა პესიმიზმის ვითარებაში გაიხსნა პარიზში ნატოს წევრი ქვეყნების პარლამენტართა ყოველწლიური კონფერენცია. ეს პესიმიზმი გამოსჭვიოდა თითქმის ყველა გამოსვლაში. პორტუგალიის წარმომადგენელმა სოარეს და ფონსეკამ, რომელიც კონფერენციას თავმჯდომარეობს, პირდაპირ განაცხადა, რომ „კრიზისის ფაქტის მიჩქმალვა, რასაც ამჟამად ნატო განიცდის, შეუძლებელია“. ამასთან პორტუგალიის წარმომადგენელი არც კი ცდილა რაიმე ერთია როგორ დაძლიონ ატლანტის სამხედრო ბლოკის კრიზისი.

თუმცა ჩვეულებრივ ნატოს პარლამენტართა კონფერენციის მონაწილეებს მიესალმება ხოლმე იმ ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელი, სადაც სხდომები იმართება, მაგრამ ამჯერად ეს ტრადიცია დაირღვა — საფრანგეთის მთავრობის არც ერთ წევრს არ უცია პატივი კონფერენციისათვის და არ დასწრებია მას.

პარლ ვილსონის გამოსვლა

ლონდონი, 15 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ბანკეტზე გამოსვლისას, რომელიც ინგლისის საპარლამენტო პოლიტიკოსა და ეკონომიური მდგომარეობის საკითხთა ლონდონის ახალი ლორდ-მერის არჩევასთან დაკავშირებთა გაიმართა, პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა აზრი გამოთქვა, რომ გაიაზად ინგლისი შეძლებს თავი დაიღწიოს საგადამხდელო ბალანსის დეფიციტს. მან აღიარა, რომ მშრომელთა მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. ვილსონმა მხარი დაუჭირა იმას, რომ მოლაპარაკება გაიმართოს იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ბლოკს ეკუთვნიან, ამასთან აღნიშნა, რომ ინგლისი დასავლეთის კავშირის ნაწილია და არა ნეიტრალური მეთვალყურე“. ვილსონმა იმედი გამოთქვა, რომ ინგლისში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მომავალი ვიზიტის დროს შეიძლება მოხდეს მოლაპარაკებათა კონსტრუქტიული განვითარება, კერძოდ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის საკითხზე.

ვილსონმა გაიმეორა განცხადება, რომ ინგლისს გადაწყვეტილი აქვს ჩაებას საერთო ბაზარში იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილი იქნება ერთა თანაბარგობრობის ქვეყნების ძირეული ინტერესები. მან აღნიშნა, რომ საერთო ბაზარში ჩაბმა დამოკიდებული იქნება იმაზე, შეძლებს თუ არა ინგლისი თავისი ეკონომიკის მოდერნიზაციას.



„დაუოკვნელობა“ გაყვანილ იქნან ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ჯარები ვიეტნამიდან!“ — ასეთი პლაკატებით ჩაიარეს თავიანთი ქალაქის ქუჩებში ლეიდის (ბელგია) ქალაქელებმა და ჭაბუკებმა. დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ ჰოლანდიის, საფრანგეთის, ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობათა წარმომადგენლები.

ტელეფოტო ადნ-საქდესისა.

„საერთო ბაზრის“ წინააღმდეგ

ლონდონი, 14 ნოემბერი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია გადაჭრით ილაშქრებს ინგლისის მთავრობის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ შეეიდეს ევროპის „საერთო ბაზარში“. ეს ნათქვამია დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

ევროპას ეკონომიურ გაერთიანებაში ინგლისის შესვლა, აღნიშნულია. განცხადებაში, გააღრმავებს მის ახლანდელ ეკონომიურ და პოლიტიკურ სიძნელეებს, მკვეთრად შეამცირებს ინგლისის ექსპორტს თანაბარგობრობის ქვეყნებში, გაიძვერებს ცხოვრების ღირებულებას ინგლისში და გააფიდებს მისი საგადამხდელო ბალანსის დეფიციტს.

„საერთო ბაზარი“, აღნიშნულია განცხადებაში, განამტკიცებს ევროპის ეკონომიურ და პოლიტიკურ გათიშულობას და აბრკოლებს ევროპის ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაფართოებას. ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნავს დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომი, მოვითხოვთ ევროპის კონფერენციის მოწვევას, რომელიც განიხილავს ევროპის თანამშრომლობის ახალ ფორმებს და ხელს შეუწყობს შეთანხმების დადებას ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საკითხებზე.

ინგლისელმა ხალხმა, ნათქვამია განცხადებაში, უნდა იბრძოლოს ყველა დაზღვეული სავაჭრო ბლოკის ლიკვიდაციისათვის, იმ აკრძალვათა გაუქმებისათვის, რომლებიც ზღუდავენ ვაჭრობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, იბრძოლოს ინგლისის ვაჭრობის გაფართოებისათვის ქვეყნებთან, რომლებმაც ახლახან მიიღეს დამოუკიდებლობა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის ყველა ქვეყანასთან, აგრეთვე საზღვარგარეთ სამხედრო ხარჯების გაუქმებისათვის.

სიკვლილის განაჩენი ინდონეზიაში

ჯაკარტა, 15 ნოემბერი. (საკდესი). როგორც დღეს ჯაკარტის რადიო იუწყება, ჯოკიაკარტის (ცენტრალური იავა) სპეციალურმა სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა ყოფილ მაიორს მულონონს. მას ბრალად ედება ის, რომ მონაწილეობდა 1965 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების ცდაში, იუწყება ფრანს პრესის საინფორმაციო სააგენტოს ადგილობრივ კორესპონდენტი.

ეროვნული თანამშრომლობა

მიუბრინავს „ჯემინი-12“

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკელმა კოსმონავტმა ედვინ ოლდრინმა დღეს ხომალდ „ჯემინი-12“-ის ფრენის დროს მესამეჯერ გახსნა თავისი კაბინის ლუკი გამოყო თავი და მხრები უმაერო სივრცეში. პროგრამის შესაბამისად მან გადაიღო ირმის ნახტომი და მზის ამოსვლა. ექსპერიმენტი განხორციელდა საათნახევრის დაგვიანებით იმასთან დაკავშირებით, რომ უწესივრობა იყო მართვის სისტემაში.

ლუკის გახსნის წინ „ჯემინი-12“-ის ეკიპაჟი ცდილობდა მოსტდინა ვიზუალური დაკვირვება და ფოტოგრაფირება ხელოვნური ნატრიუმის ღრუბლისა, რომელიც წარმოიშვა ალუმინის ბაზიდან ორი ფრანგული რაკეტის გაშვების შედეგად.

„ვერავითარ ღრუბელს ვერა ვხედავთ“, — გადასცა დედამიწაზე ხომალდის მეთაურმა ლოველმა, მან შემდეგ, რაც ერთმეორეს მოყოლებით გაუშვეს ორივე რაკეტა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ნატრიუმის ღრუბელი შეიძლება აღმოჩნდეს კოსმონავტების მიერ გადაღებულ ფოტოსურათებზე.

დღევანდელი დღის ფრენის პროგრამის შესაბამისად ნავარაუდევია მოეწყოს „ჯემინი-12“-ის კიდევ ერთი შეკიბაპირება რაკეტა „აჯენანთან“.

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ამერიკელი კოსმონავტები ჯიმს ლოველი და ედვინ ოლდრინი, როცა აფრიკას გადაუფრინეს, ორჯერ შეეცადნენ სურათი გადაეღოთ ნატრიუმის ღრუბლისათვის, რომელიც საფრანგეთის ორმა რაკეტამ გამოუშვა ხაჭარის უდაბნოს თავზე. კოსმონავტებს ზუსტი მონაცემები ჰქონდათ ამ რაკეტების გაშვების დროის შესახებ და ალალბედზე გადაიღეს სურათები, თუმცა განაცხადეს, ვერავითარ ღრუბელს ვერ ვხედავდითო.

ამ ხელოვნური ღრუბლების სურათები, რომლებიც გადაჰიმული იყო 61-დან 178 კილომეტრამდე სიმაღლეებზე, უნდა დამზარებოდა მეცნიერებს ახალი მონაცემები მიეღოთ მაღლივ ქართა შესახებ, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, ანლილებენ თვითფრინავების ფრენას, იწვევენ ატმოსფეროს ტურბულენტურობას.

კოსმონავტებმა ფრენის მართვის ცენტრს აცნობეს, რომ ისინი სიძნელეებს განიცდიან კოსმოსური ხომალდის მართვის დროს. „ყოველთვის, როცა ვცდილობთ ხომალდს მდგომარეობა შევუცვალოთ ვერტიკალით ან მეორე მხარეზე მოვაბრუნოთ, იგი დაგვერდებას იწყებს“, — აცნობა ლოველმა ცენტრს.

ეს სიძნელენი გამოწვეული იყო იმით, რომ მწყობრიდან გამოვიდა „ჯემინი-12“-ის მართვის რეაქტიული სისტემის ორი ძრავა.

შემდეგ, 90 წუთის დაგვიანებით, რაც გამოიწვია კოსმოსური ხომალდის მართვის სისტემის უწესივრობამ, „ჯემინი-12“-ის ფრენის მთელი დროის მანძილზე ედვინ ოლდრინმა მესამედ გააღო თავისი კაბინის ლუკი და თავი და მხრები გამოყო უმაერო სივრცეში. მან გადაიღო აგრეთვე ირმის ნახტომისა და მზის ამოსვლის სურათები.

გაუშვეს რაკეტა „ევროპა“

პარიზი, 15 ნოემბერი. (საკდესი). „ვუმერის“ პოლიგონიდან (ავსტრალია) გუშინ წარმატებით გაუშვეს სამსაფეხურიანი რაკეტა „ევროპა“, იუწყება ფრანს პრესის საინფორმაციო სააგენტოს ადელაიდელი კორესპონდენტი. რაკეტის ფრენის დროს, რომლის შექმნაშია ევროპის რამდენიმე ქვეყანა მონაწილეობდა, ხდებოდა პირველი და მეორე საფეხურების ჩამოშორების სისტემის გამოცდა.

ინგლისელთა ზარალი ადენში

კაირო, 14 ნოემბერი. (საკდესი). ინგლისის ჯარებს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში კვლავ დიდი ზარალი მოსდით იმ საბრძოლო ოპერაციების შედეგად, რომლებსაც ოკუპირებული სამხრეთ იემენის განთავისუფლების ფრონტის ჯარუყებულნი ახორციელებენ ქალაქ ადენსა და მის გარეუბნებში. ეს ნათქვამია ფრონტის კაიროს წარმომადგენლობის ცნობაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა. პარტიზანების გადედული თავდასხმები შეიტ ოსმანის საპოლიციო უბანზე, აგრეთვე საწყობებზე მუალიმის უბანში პარტიზანთა სრული წარმატებით დამთავრდა. თავდასხმის დროს გაჩაღდა სროლა, რომლის დროსაც დაიბოცა სამი ინგლისელი ჯარისკაცი. ხუთი კაცი, მათ შორის ოფიცერი დაიჭრა.

ეროვნული თანამშრომლობა

ოვალსაჩინო პარტიული, სახელმწიფო ეროვანე

ეს იყო 1917 წლის გაზაფხულზე. კიევის უნივერსიტეტის პირველ სართულზე, ერთ პატარა ოთახში, სადაც გაჭირვებით თუ შეადგენდა დღის სინათლე, მიმდინარეობდა ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ბოლშევიკური ორგანიზაციის კრება.

— შენ, ლავრენტი, მოგეცალა სეროიზული ფიზიკის შესწავლა, — მიმართა სათვალიან ახალგაზრდას კრების ერთმა მონაწილემ, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო ინტელიგენტად გამოიყურებოდა. ჩანდა, რომ იგი ბოლომდე ფართოდ გაშალოს მუშაობა ახალგაზრდობას შორის. აუცილებლად საჭიროა ჩვენი დროშის ქვეშ დაგრაშმოთ რევოლუციონერი ახალგაზრდობა. ჩვენ შევქმნით „ახალგაზრდობის კავშირს“. კავშირის ძირითად ამოცანას, რასაკვირველია, უნდა შეადგენდნენ ახალგაზრდა მუშები, მაგრამ საჭიროა მივიზიდოთ სკოლის ახალგაზრდობაც. სტუდენტებთან, გიმნაზიელებთან და რეალისტებთან მუშაობას პერსონალურად შენ იკისრებ. შენ ბოლოვალა აგრეთვე ამ კავშირისათვის წესდების პროექტის შედგენა.

— სიამოვნებით, — უყოყმანოდ დაეთანხმა ლავრენტი. — ეს ძალიან კარგია!

ეს ახალგაზრდა, რომელსაც კიევის ბოლშევიკური ორგანიზაცია ანდობდა მეტად სერიოზულ დავალებას, იყო კიევის კომერციული ინსტიტუტის შკანასკენი კურსის სტუდენტი ლავრენტი იოსების-ძე ქართველიშვილი, შემდეგში კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე, ამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე.

ლ. ქართველიშვილი დაიბადა დაბა სამტრედიაში 1891 წლის 14 ნოემბერს, გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება იქნა მიღებული, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის გიმნაზიაში. პირველად აქ ეზიარა იგი რევოლუციურ მოძრაობას. ახალგაზრდა აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოსწავლეთა ფანმოსვლებში. ეწევოდა აგიტაციას და აგრეცვლებდა მეფის თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო არალეგალურ ფურცლებს.

1910 წელს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ლ. ქართველიშვილი ცოდნის გასაღრმავებლად მიემგზავრება კიევში, სადაც შედის ბურცეოულ ინსტიტუტში. კიევში კიდევ უფრო გაძლიერდა მისი მიმწერფება რევოლუციური მუშაობისადმი. იგი კავშირს ამყარებს ტუდენტთა არალეგალურ წრეებთან და მალე ხდება ბოლშევიკური პარტიის წევრი. ქართველი სტუდენტი აქტიური რევოლუციური ბრძოლისა კიევის ოხრანკისათვის მალე ცნობილი გახდა. სტუდენტთა ფარული წრის ერთი-ერთი შეკრების დროს მას ანატიმრეულ ქალაქიდან ასახლებენ. მან რამდენიმე წელი გაატარა ჯადასახლებაში. იგი კიევში დაბრუნდა მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

1917 წლის ბოლოს პარტიის კიევის საქალაქო კომიტეტი, რომლის წევრიც იყო ლ. ქართველიშვილი, თავის წარმომადგენლად მას ანაგენის პროფესიული კავშირების საბჭოში. ამ საბჭოში იგი შეუპოვრად იბრძოდა მენშევიკებისა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ. პროფესიული კავშირების გაერთიანებულ საბჭოში იგი მტკიცედ ებრძოდა და ატარებდა ბოლშევიკურ ხაზს, რაზედაც კიეველ მუშებს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბოლშევიკური ორგანიზაციების სრულიად უკრაინის არალეგალურ თათბირზე 1918 წლის მაისში ქართველიშვილს ირჩევენ სრულიად უკრაინის დროებითი პარტიული ცენტრის წევრად, ხოლო ივნისე ეს ეზიარა ბოლშევიკურ ბანაკს. ეროვნული ოლქის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ლ. ქართველიშვილი ხელმძღვანელობდა ბაკინიდან, ბაქოდან, ტფილისიდან, ეროვნულ ოლქებიდან ბოლშევიკურ ლიტერატურის ბეჭდვა-გავრცელებას, ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ეხმარებოდა ფინანსურად, ამზადებდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ეროვნულ ოლქებში, ეროვნულ ოლქებიდან

ალექსი მარესიევის მადლობა

„გაუფრთხილდა მეხსიერებაში პორტრეტები მისი მეგობრებისა, რომელთა ამბავსაც იგი გულთბილად და ცოცხლად გვიყვებოდა იმ ღამეს. ხელახლა შესაქმნელი გამიხდა ისინი. რადგან შესაძლებლობა არა მქონდა ზუსტად დამეცვა ფაქტები, ოდნავ შევცვალე გმირის გვარი და ახალი სახელები დავარქვი იმათ, ვინც მისი თანამგზავრი იყო, ვინც ეხმარებოდა მისი გმირობის ძნელ გზაზე. დაე საწყენად ნუ დარჩებათ, თუ ნაამბობში თავიანთ თავს იცნობენ...“

გ. პოლევოი, „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“.

სტუმრად ვიყავით გერმანე ვლადიმერის-ძე კილასონიასთან, მოიერიშე ავიაციის ყოფილ მფრინავთან, რომელსაც დიდი სამამულო ომის დამთავრებისას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ფრონტულ ფოტოსურათებში ვნახეთ იმ ადამიანის პორტრეტი, რომლის გმირობა ჩვენთვის ნამდვილი საბჭოთა ხასიათის სიმბოლო გახდა. ფოტოსურათის უკანა მხარეზე წავიკითხეთ წარწერა: „დიდად პატივცემულ გერმანე ვლადიმერის-ძეს. მადლობით ვიგონებ იზმაილოვის აეროდრომზე ცხოვრების დღეებს. ა. მარესიევი“.

მდელვარებით ვკითხულობთ ხტრიქონებს, დაწერილს იმ გმირის ხელით, რომელიც გამოყვანილია წიგნში „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“.

ვის მიმართავს იგი ამ მეგობრული სიტყვებით?

ალ იმის ჩანაწერი, რაც იმ საღამოს მოვისმინეთ საბჭოთა კავშირის გმირის გერმანე ვლადიმერის-ძე კილასონიასგან.

...მოსკოვს ახლო მდებარე იზმაილოვოს პატარა აეროდრომზე განლაგებული იყო სამი რგოლი, რომლებსაც მეთაურობდნენ ვასილ ზარეჩნოვი, ალექსანდრე გუბარენი და გერმანე კილასონია. ყოველ მათგანს უკვე ჰქონდა მოსკოვის ცაში საბაერო ბრძოლების გამოცდილება. აქვე, დედაქალაქიდან საკმაოდ მოშორებით, მათ თავი მოუყარეს გადასამზადებლად. ახალ ტექნიკას მოელოდნენ. მფრინავები უაღრესად საჭირონი იყვნენ.

...კარგად დათბუნებულ მიწურში მოეყარა თავი სამივე მეთაურს. გაცხოველებული საუბარი მიმდინარეობდა. იგი დაიწყო გერმანე კილასონიამ:

— 700 მეტრ სიმაღლეზე ავედი. გამოვრთე ძრავი და პლანირებით წავედი ფაშისტთა აეროდრომის ზურგისაკენ, სადაც მტრის საკმაოდ ბევრი თვითმფრინავი იყო განლაგებული. ბომბებით ჯერ ერთს წავუკიდე ცეცხლი, შემდეგ ჩავრთე ძრავი, შემოვბრუნდი და კვლავ მივიტანე იერიში. ვხედავ, მეორე თვითმფრინავი იწვის, მერე მესამე... გერმანელებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, მე კი მცელავი ფრენით შინისაკენ გამოვწიე...

არა, ბიბებო, ტყუილად მოვეკიდეთ უნდობლობით „უ-2“-ს. ამ თვითმფრინავით შეიძლება ვიომოთ.

ამ დროს აეროდრომზე ჰოსპიტლებიდან და თადარიგიდან მფრინავთა ახალი ჯგუფი მოვიდა. ერთი მათგანი მიწურში შემოვიდა. სამი მფრინავი რომ დაინახა, სამივეს უპატაკა, რადგან არ იცოდა, მათ შორის რომელი იყო უფროსი:

— უმცროსი ლეიტენანტი მარესიევი. გადასამზადებლად მოვედი ჰოსპიტლიდან.

ჩვეულებრივი საფრენოსნო ფორმით იყო, მაგრამ ჩაშვებული შარვალი და მოკლეყელიანი ფეხსაცმელი ეცვა, რაც სრულებით არ შეეფერებოდა ღრმა თოვლსა და მაგარ ყინვას.

— სულ რამდენი ჩამოხვედით? — დაინტერესდა ვ. ზარეჩნოვი.

— შვიდნი.

— ერთი წყვილი უნტები უნდა გავუნაწილოთ ყველას. უნტები არა გვაქვს. გაფრენის შემდეგ რომ დაბრუნდები, გაიხდი და აძახავს გადასცემ, — თქვა ზარეჩნოვმა.

— მე უნტები არა მჭირდება, ამბავაგო ლეიტენანტო, — უპასუხა ახალბედამ. — ფეხები არ მომეყინება.

და მან შარვლის ორივე ტოტი აიწია. სამი მეთაური ერთად დაიღუნა და დაინახა, რომ მარესიევი პროთეზებზე იდგა.

ჩამოვარდნილი დუმილი ზარეჩნოვმა დაარღვია.

— აბა, წავედით თვითმფრინავში! — ისე სწრაფად წამოდგა, რომ ტაბურეტი გადააბრუნა და თვითმფრინავების სადგომისაკენ გაეშურა. მას სხვებიც მიჰყვნენ.

...თვითმფრინავი მაღლა რომ ავიდა, ზარეჩნოვმა მართვა მარესიევს გადასცა.

— აბა მაჩვენე, — უთხრა სალაპარაკო მილში.

და მარესიევმა ფრთხილად, ყოველი მოძრაობისათვის შეშფოთების გრძნობით, დაიწყო შემოძრუნების, თავდაყირა დაშვების და სხვა ფიგურების შესრულება. ზარეჩნოვი ილიმებოდა და ამაოდ ცერს უჩვენებდა. შემდეგ უბრძანა:

— წადი დასაშვებად!

აი აქ პროთეზები ხელის შემშლელი აღმოჩნდა. მარესიევი ვერ ასწრებდა დაშვებისას მანქანის ყველა გადახრაზე რეაგირებას. მანქანა მდოვრედ ვერ დაეშვა და შემდეგ ზოლზე სწორი ხაზი ვერ დაიცვა. ზარეჩნოვმა მართვა გამოსტაცა და უბრძანა:

— აფრინდი!

მაგრამ აფრენაც ვერ იყო წარმატებითი.

...ზარეჩნოვი მანქანიდან გადმოხტა და ამხანაგებისაკენ გაეშურა, მარესიევი კი მარტო იჯდა თვითმფრინავში და დარწმუნებული იყო, რომ მფრინავად ვეღარ გამოდგებოდა. ხანგრძლივი ვარჯიში, ოცნება — ყველაფერი ფუჭად ჩაუვლიდა. აი ახლა ზარეჩნოვი ეტყვის:

— არ შეიძლება იფრინო.

...მფრინავთა ჯგუფს მაღალ-მაღალი კავკასიელი გამოეყო და ნელა წამოვიდა თვითმფრინავისაკენ. თვითმფრინავის ფრთაზე ავიდა, მარესიევს შეხედა და გაუღიმა:

— ყოჩაღ! მაგრამ რატომ ნერვიულობ? მფრინავი, ჩემო ძვირფასო, მაგარი ნერვებია. აი ასე უნდა, აი ასე, — ეუბნებოდა და შეეუმშულ მუშტს უჩვენებდა.

მარესიევმა გაიღიმა. მაშ ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არის. კილასონიამ კაბინაში ჩაიხედა, უბრძანა ისე მაგრად შეეკრა პედალების თასმები, რომ ღრიჩო სრულებით არ ყოფილიყო, და კაბინაში შევიდა.

— პილოტირების ყველა ელემენტს ჩემთან ერთად გააკეთებ. ყურადღებით ადევნე თვალი ყოველ მოძრაობას. თავიდან ისწავლე ყველაფერი, ჩემო ძვირფასო. აბა... წავედით!

...ცხოვრებაში ასე იყო.

მოთხრობაში კი ბ. პოლევოიმ კილასონია გამოიყვანა მესამე რაზმის ინსტრუქტორის ლეიტენანტ ნაუმოვის სახით, რომლის ხელქვეითადაც გაიგზავნა უფეხო მფრინავი:

„ნაუმოვმა მაშინვე გაიგო ამ კაცის ღელვაც, მისი სახის არაჩვეულებრივი გამომეტყველებაც, ცრემლებიც მის შავ თვალებში და ის სიხარულიც, რომლითაც მას უნდოდა ფრენის შეგრძნობა გაეხანგრძლივებინა. კურსანტმა იგი გააოცა. ნაუმოვმა მიაშურა მას და მაგრად ჩამოართვა ხელი.

— ძვირფასო, ეს როგორ? შენ არც კი იცი, რა კაცი ხარ!...“

...არაერთხელ უფრენიათ, მარესიევთან ზარეჩნოვსა და გუბარენისაც. და მხოლოდ მაშინ, როცა სამივე დარწმუნდა, რომ უფეხო ალექსი იფრენდა, უთხრეს:

— გეყოფა ძიას იმედად ყოფნა. დამოუკიდებლად იფრინე.

ასე დაბრუნდა მარესიევი მწყობრში...

1942 წლის ზამთრის ომიანობის სუსხში კილასონიამ, ზარეჩნოვმა, გუბარენმ და მარესიევმა ერთმანეთი დაკარგეს. მარესიევი სხვა გადასამზადებელ სკოლაში წავიდა, სიდაანაც გამანადგურებელ ავიაციაში დაბრუნდა. როგორ ფრინავდა, როგორ ომობდა და რას აკეთებდა მარესიევი ომის შემდეგ, — ეს ფართოდ არის ცნობილი ბ. პოლევოის მოთხრობის მიხედვით.

ზარეჩნოვი და გუბარენი მალე სხვადასხვა ფრონტებზე გაამწესეს. კილასონია კი, რომელმაც მოიერიშე თვითმფრინავ „ილ-2“-ზე დაიწყო ფრენა, ანადგურებდა ფაშისტებს მოსკოვთან და სტალინგრადთან, ვორონეჟთან და კიევთან, კურსკის რკალზე და კენიგსბერგის თავზე.

გ. კილასონია ომის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, იგი გაგრის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, შემდეგ კი ლესელიძის სახელობის დასასვენებელი სახლის დირექტორად დანიშნეს. აქ უკვე მეთოთხმეტე წელია მუშაობს.

...22 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მარესიევმა ჩაიდინა თავისი ლეგენდარული გმირობა, რომელიც ბ. პოლევოიმ გამოიყენა თემად წიგნში „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“. ჩვენი თაობის ახალგაზრდები კვლავ და კვლავ უბრუნდებიან ნამდვილი საბჭოთა ადამიანის სახეს, მისგან იღებენ მაგალითს თავიანთი ცხოვრებისათვის. მაგრამ ბევრი როდი იცნობს მარესიევის მეგობრებს — ზარეჩნოვს, გუბარენს, კილასონიას — ლეგენდარული მარესიევის მეგობრებს, რომლებიც დაეხმარნენ მას დაბრუნებულიყო ავიაციაში, დაბრუნებოდა ცხოვრებას.

კვლავ და კვლავ ვუყურებთ მარესიევის სტრიქონებს, მიძღვნილს მისი მეგობრული მეგობრის გერმანე კილასონიასადმი, ფოტოსურათის უკანა მხარეს, რომ აწერია. და უსაზღვროდ ბედნიერი ვართ, შემთხვევამ შესაძლებლობა რომ მოგვცა გაგვეშიფრა წიგნის „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“ ერთ-ერთი გმირის სახელი. დაე იცოდნენ ამიერიდან ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანებმა, რომ ლეიტენანტ ნაუმოვის სახელით ბორის პოლევოიმ გამოიყვანა ქართველი ხალხის შვილი საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავი გერმანე კილასონია.

გ. გელაძე,
ლესელიძე, საქართველოს სსრ.

ჯეროვნად ვაფასებდეთ მამათა საგრძოლო დიდებას



ამბები ცნობები

მკითხველის კალმით

მხატვრული თვითმოქმედების მეხუთე რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი ყაზბეგში იტყობინება, რომ ოლიმპიადის მონაწილე ყაზბეგელ მოსწავლეებს მ. შაბურიშვილსა და მ. ქუშაშვილს მიენიჭათ ლაურეატების წოდება და დაჯილდოებული არიან ოქროს medlebi-თ.

ვ. ჩქარეული.

დუშეთის სტამბაში ამას წინათ დადგეს ორი ლინოტიპი, ასოთამწყობებმა მ. მუჯდლიშვილმა და ნ. მთიულიშვილმა კვალიფიციური ლინოტიპისტის ვ. ფოფხაძის ხელმძღვანელობით, პოკლე ხანში შეისწავლეს ამ გონიერი მანქანის მართვა.

მ. ღარიბაშვილი.

ეს სურათი გადაღებულია საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის ტერიტორიაზე. აქ გაშენებულია მარადმწვანე მცენარეების ხეივნები, მრავალი ჭარსაცავი ზოლი.

ფოტო ხ. კილაძისა.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა დათვალიერება-კონკურსი

თბილისში მიმდინარეობს რესპუბლიკის საუკეთესო საზოგადოებრივი კვების საწარმოთა დათვალიერება - კონკურსი, რომელიც მოაწყეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ვაჭრობისა და კოოპაკავშირის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა.

საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილეს ო. გ. იოსელიანს გამბნა ამ დათვალიერება-კონკურსის შესახებ.

თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, მახარაძის, ზუგდიდის, ცხინვალის, თელავის საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოთა დათვალიერება-კონკურსს რომ ვაწყობდით, — თქვა ო. გ. იოსელიანმა, — მიზნად ვისახავდით ამოცანას გაგვეჩინა ტალონების, რესტორანების, კაფეების, სპეციალიზებული სასაუზმეების მოწინავე გამოცდილება, მომხმარებელთა მომსახურების პროგრესული მეთოდები, ყველასთვის გაგვეცნო რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის ეროვნული კერძების თავისებურებანი და, ბოლოს, აგვეღორძინებინა კულინართა მიერ დაუმსახურებლად მივიწყებული ქართული კერძები.

ჯერჯერობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამის გაკეთება შევძლებთ. რესტორან „ისინდოს“ სტუმრებს, სადაც ამჟამად თელაველი კულინარები მუშაობენ, მეტად მოეწონათ კაბური კერძები. თბილისელები ნასიამოვნები დარჩნენ ოსური ეროვნული კერძებითაც, რომელთა ფართო ასორტიმენტია რესტორან „სამადლოში“. გამოსცდებისათვის, რომელნიც თბილისის რესტორანებში გაიმართება 16 ნოემბრიდან 17 დეკემბრამდე, ემზადებიან იმერელი, აჭარელი, აფხაზი, გურული და მეგრელი კულინარები.

ამ რესტორანებში თბილისელებს შეუძლიათ გასინჯონ საუკეთესო ეროვნული კერძები, ბოზბაში, თელავური ხინკალი, ჭრიანტელი, ოსური ფინჯინი და ბაბიზგინები.

თბილისელებს ალბათ აინტერესებთ, თუ როდის გამოვლენ კულინარები. თელაველები და ოსები გამოვლენ შესაბამისად 21 და 23 ნოემბერს, კაფე „მეტროში“ 16-25 ნოემბერს გამოვლენ აფხაზი კულინარები. ზუგდიდელები 23 ნოემბრიდან დაიწყებენ რესტორან „ისინდოში“ მეგრული კერძების მომზადებას, იმერული სამზარეულო „სამადლოში“ წარმოდგენილი იქნება 27 ნოემბრიდან, ამავე რესტორანში 8 დეკემბერს დაიწყებენ გამოსვლას აჭარლები. მახარაძელი სტუმრები კი თბილისელებს რესტორან „ისინდოში“ 3-12 დეკემბერს მიიპატიჟებენ.

კონკურსის დროს თითოეული კოლექტივი წარმოადგენს თავისი კუთხის სამზარეულოს თავისებურებებს, ტრადიციისამებრ მოემსახურება და გაუძღვება ხალხესასწაულო სუფრას.

კონკურსის შედეგებს შეაჯამებს სპეციალურად შექმნილი ჟიური, რომელშიც საზოგადოებრივი კვების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები იქნებიან.

დათვალიერება - კონკურსში გამარჯვებულებს დაჯილდოებენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპკავშირის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელებით, ხოლო საუკეთესო კოლექტივს გადაეცემა სამინისტროს გარდამავალი თასი.

გარდა ამისა, საუკეთესო კერძებს წარადგენენ რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მენიუში შესატანად. (საქდესი).

„ზარია“—უმაღლეს ლიგაში

გუშინ დამთავრდა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის ქვეჯგუფებში გამარჯვებულთა დასკვნითი ტურნირი ფეხბურთში პირველი ჯგუფის ერთადერთი საგზურისათვის.

უკანასკნელი მატჩის წინ ლუგანსკის „ზარიასა“ და ვილნიუსის „ელექტრონის“ ხუთეული ქუთა აღმოაჩნდა, იმ განსხვავებით, რომ „ელექტრონს“ ტურნირი უკვე დამთავრებული ჰქონდა, „ზარიას“ კი კიდევ ერთი მატჩი უნდა გაეშართა ტაშკენტის ოლქის „პოლიტოტდელთან“.

გუშინ შედგა უკანასკნელი მატჩი. ლუგანსკელებს შეხვედრის ფრედ დამთავრებაც კი ხელს უწყობდათ. ასეც მოხდა. თამაში დამთავრდა 1:1.

ამრიგად, ტურნირში 6 ქუჩით პირველი ადგილი დაიკავა და მომავალ წელს „ა“ კლასის პირველ ჯგუფში გამოვა ლუგანსკის „ზარია“. ცნობილია აგრეთვე თუ ვის ადგილს დაიკავებს „ზარია“. ეს კოლექტივია ოდესის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი, რომელსაც სატურნირო ცხრილში უკანასკნელი მე-19 ადგილი დამკვიდრებული აქვს.

ჯავანა, 15 ნოემბერი. (საკდესის სპეციალური კორესპონდენტი გ. ოსმანოვისა). სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების მატჩის დაწყებამდე უკვე სამი საათით ადრე მსოფლიო ოლიმპიადის სატურნირო დარბაზის შესასვლელთან ჰავანის ქუჩებიდან მოფცვარულთა უზარმაზარი რიგი იდგა. ისინი (ცდილობდნენ როგორმე მოხვედრილიყვნენ ლიდერთა ამ ცენტრალურ შეხვედრაზე. როცა საბჭოთა გუნდი გამოჩნდა, შეკრებილნი მხურვალედ მიესალმნენ მას.

16 საათზე მაგიდებთან ადგილები დაიკავეს **რ. ფიშერმა** და **სპასკიმ**, **მ. ტალმა** და **რ. ბირნმა**, **ვ. ბენკომ** და **ლ. შტეინმა**, **ლ. პოლუგაევსკიმ** და **ლ. ევანსმა.**

პირველმა შეხვედრა დაამთავრა სსრ კავშირის ჩემპიონმა. სიცილიურ დაცვაში **შტეინმა** გაიწონასწორა შანსები, შემდეგ პაიკის შეწირვის გზით ხელი იგდო ინიციატივა. ამერიკელი გროსმაისტერი დაცვაზე გადავიდა, რომელიც დიდი სიზუსტით განახორციელა. მთელი ამ ტურნირის **„ბირნმა“** **ტალთან** პარტიაში აირჩია სიცილიური დაცვის მწვავე გარიანტი, რაც, რა თქმა უნდა, მცდარი გადაწყვეტილება იყო. ასეთ სიტუაციებში **ტალი** თავს დიდებულად გრძნობს. ბრწყინვალედ ითამაშა მან ამჯერადაც. თანდათანობით თეორები აძლიერებდნენ თავიანთ მდგომარეობას, შემდეგ გადავიწონენ გადამწყვეტ იერიშზე. **ტალის** მუქარა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ **ბირნმა** 36-ე სვლაზე პარტნიორს გამარჯვება მიულოცა.

ესპანურ პარტიაში **სპასკი** დიდხანს იგერიებდა **ფიშერის** იერიშებს, რომელიც თეორებით თამაშობდა. თავის ამოცანაა სპასკთა გროსმაისტერმა კარგად გაიაროთვა თავი. მაგრამ საკონტროლო დროის წინ ძლიერ ცაატნოტში **სპასკიმ** უხეიროდ ითამაშა, და **ფიშერი** დაუფიქრებლივ გადავიდა აქტიურ მოქმედებაზე. ამ მომენტში **სპასკიმ** პაიკი შეაწირა. ეს „დანაის ძღვენი“ გამოდგა.

ამერიკელმა „თამამად“ მიიღო მსხვერპლი, ვერ მიუხვდა **სპასკის** ჩანაფიქრს. რამდენიმე სვლის შემდეგ გამოირკვა, რომ **ფიშერის** ლაზიერი ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. და ამერიკის შეერთებული შტატების გროსმაისტერი იძულებული გახდა ხარისხი შეეწირა. პარტია გადაიდო რთულ პოზიციაში.

დაუმთავრებელი დარჩა აგრეთვე **პოლუგაევსკ-ევანსის** შეხვედრა. პაიკის დაკარგვის მიუხედავად ამერიკელ გროსმაისტერს აყიმისათვის ბრძოლის საშუალება აქვს.

ლიდერთა შეხვედრა

ბირნმა ტალთან პარტიაში აირჩია სიცილიური დაცვის მწვავე გარიანტი, რაც, რა თქმა უნდა, მცდარი გადაწყვეტილება იყო. ასეთ სიტუაციებში **ტალი** თავს დიდებულად გრძნობს. ბრწყინვალედ ითამაშა მან ამჯერადაც. თანდათანობით თეორები აძლიერებდნენ თავიანთ მდგომარეობას, შემდეგ გადავიწონენ გადამწყვეტ იერიშზე. **ტალის** მუქარა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ **ბირნმა** 36-ე სვლაზე პარტნიორს გამარჯვება მიულოცა.

ესპანურ პარტიაში **სპასკი** დიდხანს იგერიებდა **ფიშერის** იერიშებს, რომელიც თეორებით თამაშობდა. თავის ამოცანაა სპასკთა გროსმაისტერმა კარგად გაიაროთვა თავი. მაგრამ საკონტროლო დროის წინ ძლიერ ცაატნოტში **სპასკიმ** უხეიროდ ითამაშა, და **ფიშერი** დაუფიქრებლივ გადავიდა აქტიურ მოქმედებაზე. ამ მომენტში **სპასკიმ** პაიკი შეაწირა. ეს „დანაის ძღვენი“ გამოდგა.

ამერიკელმა „თამამად“ მიიღო მსხვერპლი, ვერ მიუხვდა **სპასკის** ჩანაფიქრს. რამდენიმე სვლის შემდეგ გამოირკვა, რომ **ფიშერის** ლაზიერი ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. და ამერიკის შეერთებული შტატების გროსმაისტერი იძულებული გახდა ხარისხი შეეწირა. პარტია გადაიდო რთულ პოზიციაში.

დაუმთავრებელი დარჩა აგრეთვე **პოლუგაევსკ-ევანსის** შეხვედრა. პაიკის დაკარგვის მიუხედავად ამერიკელ გროსმაისტერს აყიმისათვის ბრძოლის საშუალება აქვს.

ჩემპიონატი გაიხსნა

გუშინ კიევში საზეიმოდ გაიხსნა ჩვენი ქვეყნის XXVI პირველობის ფინალადამაჯამებელი ჭალთაოთვის. წლეულდელ ჩემპიონატს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მან უნდა გამოავლინოს არა მარტო ოქროს medlis მფლობელი, არამედ სამი უძლიერესი მოჭადრაკე ქალი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში.

ფინალში მონაწილეობას მიიღებენ 20 მოჭადრაკე. მათი უმრავლესობა ნახევარფინალებში გამარჯვებულებია, ჩემპიონატზე ჩვენი რესპუბლიკიდან ჩასულ **ა. ჩაციკოვსკაია, ე. ბაკაბაძე, ნ. ალექსანდრია** და **ნ. კახაბრიშვილი.**

მოჭადრაკეებს გააცნეს ფინალური ასპარეზობის დებულება, მოეწყო წილისყრა.

დღეს გაიმართება პირველი ტური.

გვიჩვენებს „მეტრიმპექსი“

უნგრეთის ლაბორატორიული და საფეიქრო მოწყობილობის გამოფენა

გუშინ, 15 ნოემბერს, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის შენობაში გაიხსნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის საწარმოს „მეტრიმპექსის“ ლაბორატორიული და საფეიქრო მოწყობილობის გამოფენა.

საგარეო ვაჭრობის საწარმო „მეტრიმპექსი“ აწარმოებს საკონტროლო გასაზომ ხელსაწყოთა და აპარატურის ექსპორტსა და იმპორტს. ამ ხელსაწყოების საექსპორტო ასორტიმენტში შედის ელექტრონული და ელექტრული, ატომგულური და ქიმიური, გეოდეზიური და ლაბორატორიული ხელსაწყოები, აგრეთვე ადმინისტრაციული მანქანების ავტომატური ელემენტები და ნივთიერებათა გამოსაცდელი ხელსაწყოები. „მეტრიმპექსს“ საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ ქვეყნებს გარდა საქმიანი ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 35 ქვეყანასთან. მათ შორის არის ინგლისი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ავსტრალია, ინდოეთი, ეგვიპტე და სხვ.

განსაკუთრებით ფართო საგაჭრო ურთიერთობა „მეტრიმპექსს“ აქვს საბჭოთა კავშირთან. ყოველწლიურად ჩვენს ქვეყანაში უნგრელი სპეციალისტები აწყობენ მათ მიერ შექმნილ სამრეწველო, საფეიქრო, კავშირგაბმულობისა და სხვა დარგის ახალი მოწყობილობისა და ხელსაწყოების დემონსტრირებას. საქართველოში უკვე მოთხოვდ მოეწყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სხვადასხვა საწარმოთა გამოფენები. „მეტრიმპექსი“ კი მეორედ ჩამოვიდა ჩვენს დედაქალაქში. ამჯერად უნგრელი სპეციალისტები გვაცნობენ ლაბორატორიული და საფეიქრო მოწყობილობის ხელსაწყო-დანადგარებს.

გამოფენის ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთი ეთმობა ქიმიურ-ლაბორატორიულ ხელსაწყოებს, მეორე კი საფეიქრო დანადგარებს.

ჩვენი რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკები დიდი ინტერესით გაეცნობიან აქ წარმოდგენილ ექსპონატებს. ყურადღებას იქცევს შალის ბოჭკოს სიმსხოს განმსაზღვრელი ხელსაწყო, ქაოვილის წყალგამძლეობის აპარატი, ქსელის დაჭიმულობის გამზომი მოწყობილობა, ქსოვილის სიმტკიცის განმსაზღვრელი მიკროსკოპიული ხელსაწყო, ნართისა და ხაკერავი ძაფის რეცხვაზე გამოსაცდელი ხელსაწყო, ნართისა და ქსოვილის გამგლეჯი ავტომატური მოწყობილობა, გრეხმზომი, სხვადასხვა სისტემის ცენტროფუგები და სხვ.

აღსანიშნავია კომპლექსური თერმოანალიზური დანადგარი „დერივატოგრაფი“, რომელიც პირველად არის ამ გამოფენაზე ეჩვენებოდ. სულ გამოფენაზე წარმოდგენილია 50-ზე მეტი ექსპონატი.

გამოფენის გახსნის წინადღეს საგარეო ვაჭრობის საწარმოს „მეტრიმპექსის“ მუშაკებმა მოაწყეს პრეს-კონფერენცია, რომელზეც მოწვეული იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის პრესისა და რადიოს მუშაკები.

პრეს-კონფერენცია გახსნა საქართველოს სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ რ. ელიგულაშვილმა. კორესპონდენტთა შეკითხვებზე პასუხს იძლეოდნენ გამოფენის დირექტორი მ. გერგელ და „მეტრიმპექსის“ გენერალური დირექტორის მოადგილე დ. შეფერტი.

უნგრული გამოფენა 25 ნოემბრამდე იმუშაებს.

• • •

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ამხანაგო ჟურნალისტებო—პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებო!

თქვენი მუშაობისათვის ბევრ დიდმნიშვნელოვანსა და სასარგებლოს შეიძენთ, თუ გამოიწერთ და წაიკითხავთ სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ორგანოს — ჟურნალ „სოვეტსკაია პეჩატს“.

„სოვეტსკაია პეჩატი“ ჩვენი ქვეყნის ძირითადი ყოველთვიური ჟურნალია, რომელიც აშუქებს საბჭოთა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საკითხებს.

ჟურნალი „სოვეტსკაია პეჩატი“ საბჭოთა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა გამოცდილების გაზიარების სრულიად საკავშირო ტრიბუნაა. ჟურნალი განიხილავს საბჭოთა ჟურნალისტიკის შემოქმედებითის პრობლემებს.

ერთი წლით გამოწერა ღირს 4 მანეთი და 20 კაპიკი

გამოიწერეთ ჟურნალი „სოვეტსკაია პეჩატი“

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი.

ტელევიზია

16 ნოემბერი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ალიოშას ნადირობა“, 19.00 — „მუზეუმებიდან“ და გამოფენის დარბაზებიდან“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — გადაცემა „ვაზი ცხოვრებაში“, 20.00 — განცხადებები, 20.05 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „შემოდგომა საგრეჯოში“, 20.15 — მუსიკალური გადაცემა „გალაკტიონ ქართულ მუსიკაში“, 20.55 — მხატვრული ფილმი „სამი სიცოცხლე“ (II სერია), 22.00 — საესტრადო კონცერტი (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 22.30 — კონონარკვეევი, 22.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე).

17 ნოემბერი

11.00 — კინონარკვეევი, 11.20 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ქოროწინების ნებართვა“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენს ეკრანი“, 18.20 — ოქტომბრელთათვის — „მზე შინა და მზე გარეთა“, 18.40 — განცხადებები, 18.45 — კინონარკვეევი, 19.05 — გადაცემა, მიძღვნილი სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი, 19.25 — კინონარკვეევი, 19.45 — სპორტული გადაცემა „იუბილეს მიეძღვნა“, 19.55 — კინონარკვეევი, 20.15 — ლიტერატურული გადაცემა პაბლო პიკასო“ (დაბადების 85 წლისთავი), 20.55 — დოკუმენტური ფილმი, 21.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.00 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ქოროწინების ნებართვა“, 23.05 — გადაცემათა პროგრამა 18 ნოემბრისათვის, 23.10 — ჟურნალ „ნაპოსტრემენნიკის“ ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. 45 წ.

თეატრები

16 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — თქმულება ტარიელზე, **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სეილემის პროცესი, **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — თამილა მახმუდოვას (ფორტეპიანო) კონცერტი, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მთაწმინდის მთვარე, **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — დაგომეის ოფრკელი ეროვნული ბალეტი, **სანკულტურის** — აღარ გაიმეორებს, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ფიფქია და შვიდი ჯუჯა (№ 35 ამონ. დილის 10 ს.), **თოჯინების ქართული** (ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლის შენობაში) — კომბლე (11, 2 და 4 ს.).

კინო

16 ნოემბერი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, საქართველო (წიფელი დარბაზი), კოლხიდა (საზამთრო), გაზაფხული, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ბათუმი — **ოსინი ჯარისკაცებს მისდევდნენ**, საქართველო (მწვანე დარბაზი), 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი), ი. ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, სპარტაკი — **ხარჭმლის გასწვრივ მატარებლები დადიან**, თბილისი — **დამაჯერებელი საბუთები**, 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი), კოლმეურნე — **გადამწყვეტი ნაბიჯი**, კომკავშირელი — **შეხვედრა წარსულთან**, კოლხიდა (საზამთრო) — **შეხანიშნავი შვიდეული**, ჯოსმოსი, ოფიცერთა სახლი, ყაზბეგი (I დარბაზი) — **ეღლები წვერი**, თანამგზავრი — **მშვენიერი ამერიკელი**, კიროვის სახელობის პარკი — **ბრძოლის ფერები**, ეკრანი — **სათავგადასავლო ფილმების ხაღამი**, ყაზბეგი (II დარბაზი) — **გიორგი ხაკაძე**, ნაკადული — **სიყვარული თელებს ქვეშ.**

ჩვენ ვისაუბრეთ, რაც ეროვნულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები ცნობები

ჯეროვნად ვაფასებდეთ მამათა საგრძოლო დიდებას

ალექსი მარესიევის მადლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარია“—უმაღლეს ლიგაში

ლიდერთა შეხვედრა

ჩემპიონატი გაიხსნა

გვიჩვენებს „მეტრიმპექსი“

ამბები ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები ცნობები

**ე